2024

საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის N3600-XIIIმს-Xმპ დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

სპეციალური ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველი

ანალიტიკური დეპარტამენტი

www.ombudsman.ge

info@pdo.ge

შინაარსი

შესავალი 3

1. პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მდგომარეობა 4

2. მეთოდოლოგია 6

3. საქართველოს მთავრობა 7

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 10

5. საქართველოს პროკურატურა 34

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 39

7. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 53

8. სპეციალური საგამოძიებო სამსახური 54

9. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 55

10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 60

11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 85

12. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო 100

13. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 100

14. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 101

15. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 103

16. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 104

17. საზოგადოებრივი მაუწყებელი 107

18. სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო 107

19. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო 109

20. სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო 110

21. თანამდებობის პირები 111

22. ფსიქიატრიული დაწესებულებები 111

შეჯამება 113

დანართი 115

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს კონსტიტუციურ ორგანოს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას. სახალხო დამცველი წელიწადში ერთხელ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურ ანგარიშს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე – მოხსენებას ყოველწლიურ ანგარიშთან დაკავშირებით, რომელთა განხილვის საფუძველზე პარლამენტი იღებს დადგენილებას და დადგენილებით დავალებებს აძლევს სახელმწიფო უწყებებს სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესასრულებლად.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ყველაზე ძლიერი მექანიზმი არის მათი პარლამენტის დადგენილებაში ასახვა. რეკომენდაციები, რომლებიც უკვე დადგენილებაში დავალებების სახით აისახება, შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს პარლამენტის მიმართ ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი საჯარო უწყებებისა და თანამდებობის პირთა მიმართ. შესაბამისად, პარლამენტი ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს უწყებების მიერ დავალების შესრულებაზე და აღნიშნული პროცესი ამავდროულად ზრდის სახალხო დამცველის საქმიანობის ეფექტიანობას. ამ პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი პარლამენტის დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულებას ყოველწლიურად აფასებს სპეციალურ ანგარიშში.

წინამდებარე სპეციალური ანგარიშის მიზანია სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ (შემდგომში სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში) საფუძველზე პარლამენტის მიერ 2023 წლის 1 ნოემბრის N3600-XIIIმს-Xმპ დადგენილებაში (შემდგომში პარლამენტის დადგენილება) ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასება. **ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის დადგენილებით გაცემული ცალკეული დავალებები არ ასახავს სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის რეკომენდაციების მიზანს და ფორმულირების კუთხით არსებითად ცვლის მათ შინაარსს, რის გამოც სახალხო დამცველის აპარატი არ მიიჩნევს მსგავსი სახის დავალებებს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარებად და არ შეაფასებს მათი შესრულების მდგომარეობას.** შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში ფასდება პარლამენტის დადგენილებაში ასახული მხოლოდ იმ დავალებების შესრულება, რომლებიც ეფუძნება სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში გაცემულ რეკომენდაციებს და გამომდინარეობს მათგან.

ამ ანგარიშის პირველ ნაწილში მიმოხილულია ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და მათი პარლამენტის დადგენილებაში გაზიარების მაჩვენებლის შესახებ, ასევე, ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია. შემდგომი

ნაწილი ეთმობა ადრესატი უწყებების მიხედვით თითოეული დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასებას. და ბოლოს, შეჯამების სახით წარმოდგენილია დავალებების შესრულების მდგომარეობის ზოგადი სურათი.

1. პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველმა 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში სხვადასხვა უწყებებსა და თანამდებობის პირებს ჯამში 281[1] რეკომენდაციით მიმართა, რომელთაგან 263 სახელმწიფო ორგანოებს მიემართებოდა,[2] 17 მუნიციპალურ ორგანოებს, ხოლო 1 რეკომენდაცია საჯარო უწყებათა ყველა თანამდებობის პირის მიმართ გაიცა.

სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე პარლამენტმა 2023 წლის დადგენილებაში სხვადასხვა ცენტრალური, ავტონომიური თუ მუნიციპალური უწყებების მიმართ 277 დავალება გასცა (მათ შორის 19 დავალება მუნიციპალიტეტის ორგანოებს, ხოლო 1 დავალება საჯარო უწყებათა ყველა თანამდებობის პირს მიემართება). **უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების რაოდენობა, პირდაპირპროპორციულად არ ეფუძნება სახალხო დამცველის ანგარიშის ამავე რაოდენობის რეკომენდაციებს და შესაბამისად, არ ასახავს პარლამენტის მიერ რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელს.**

პარლამენტის დადგენილებით გაცემული დავალებების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სტატისტიკური მონაცემები სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც სრულად იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ, რეკომენდაციები, რომლებიც ნაწილობრივ გაიზიარა პარლამენტმა და რეკომენდაციები, რომლებიც არ გაიზიარა პარლამენტმა და არ ასახა თავის დადგენილებაში. აღნიშნულის გარდა, პარლამენტის დადგენილება შეიცავს დავალებებს, რომლებშიც რეკომენდაციის ტექსტის ცვლილებით პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსი და შესაბამისად, როგორც ზემოთ შესავალში აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით ასეთი დავალებები არ წარმოადგენს სახალხო დამცველის რეკომენდაციიდან გამომდინარე დავალებას და არ ითვლება გაზიარებულად. დამატებით, ზოგიერთი დავალება განმეორდა და დადგენილებაში ორჯერ არის წარმოდგენილი (დუბლირებული დავალებები).

[1] 1 რეკომენდაცია საპარლამენტო ანგარიშში დუბლირებულია ტექნიკური ხარვეზის გამო, ამიტომ წინამდებარე ანგარიშში მოხმობილი სტატისტიკური მონაცემები დათვლილა 280 და არა 281 რეკომენდაციასთან მიმართებით.

[2] მათ შორის, 1 რეკომენდაცია გაიცა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, ხოლო 1 რეკომენდაცია ფსიქიატრიული დაწესებულებების დირექტორების მიმართ

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებლის სრული სურათი შემდეგნაირად გამოიყურება		
სრულად გაიზიარა	208	74,29%
ნაწილობრივ გაიზიარა	30	10,71%
არ გაიზიარა	22	7,86%
არსებითი ცვლილებების გამო არ ითვლება გაზიარებულად	20	7,14%
ჯამი	280[3]	

ხაზგასასმელია, რომ პარლამენტმა სრულად გაიზიარა მუნიციპალური ორგანოების მიმართ გაცემული რეკომენდაციები, ხოლო არსებითი ან ნაწილობრივი ცვლილება შეეხო ავტონომიური რესპუბლიკის და ცენტრალური სახელისუფლებლო ორგანოების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს.

მისასალმებელია, რომ გასულ წელთან შედარებით პარლამენტმა მცირედით გაზარდა სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების სტატისტიკა. კერძოდ, 2022 წლის დადგენილებაში პარლამენტმა სრულად გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაციების 71.08 %, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2023 წლის დადგენილებაში 74,29%-ია.

2020-2023 წლების დადგენილებებში პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის რეკომენდაციების სრულად და ნაწილობრივ გაზიარების პროცენტული მაჩვენებლის ჯამი შემდეგნაირად გამოიყურება:



[3] იხ სქოლიო N1

ასევე, პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომ შენარჩუნებულია იმ რეკომენდაციების კლების ტენდენცია, რომლებიც პარლამენტმა არ ასახა დადგენილებაში. კერძოდ, 2021 წლის საპარლამენტო დადგენილებაში პარლამენტმა არ ასახა სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის 30 რეკომენდაცია, 2022 წელს - 23, ხოლო 2023 წლის მონაცემებით 22 რეკომენდაცია ვერ მოხვდა დადგენილებაში. აღნიშნული რეკომენდაციების ნუსხა თან ერთვის სპეციალურ ანგარიშს დანართის სახით.

წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში განხილულია პარლამენტის დადგენილებით გაცემული 277 დავალებიდან 258 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა, რადგან წინამდებარე ანგარიშში არ ვაფასებთ ავტონომიური მუნიციპალური ორგანოების მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობას (19 დავალება).

2. მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასება ეფუძნება შემდეგ წყაროებს:

- სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;
- სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგები;
- სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია;
- საჯარო სივრცეში განთავსებული ოფიციალური ინფორმაცია;
- სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების შეფასების მეთოდოლოგია;
- სახელმწიფო უწყებების მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი პოზიციები სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციებთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო უწყებების მიერ, საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ პარლამენტში წარდგენილი ანგარიშები.

განსახილველი ანგარიშის მიზნებისთვის, სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობა, ფასდება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან, 2024 წლის პირველი მარტის ჩათვლით არსებული მდგომარეობით.

3. საქართველოს მთავრობა

3.1. ზოგადი მდგომარეობა

საქართველოს მთავრობის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ნაწილობრივ შესრულდა	3
არ შესრულდა	3
ჯამი	6

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით:



3.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტთან პატიმართა რაოდენობის შემცირების ისეთი ინსტრუმენტების შესაქმნელად, რომლებიც შეესაბამება როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №R (99) 22 რეკომენდაციას ციხის გადატვირთულობასა და ციხის მობინადრეთა რაოდენობის ზრდასთან

დაკავშირებით, ისე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებულ დოკუმენტს ციხის გადატვირთულობის შესახებ (PC-CP (2015) 6 rev 7);

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს პატიმრების რაოდენობის შემცირებას და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (99) 22 რეკომენდაციები ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებული PC-CP (2015) 6 rev 7 დოკუმენტი ციხის გადატვირთულობის შესახებ*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება ითვალისწინებს მხოლოდ აღნიშნულ საკითხზე თანამშრომლობას და არ ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შემუშავების კომპონენტს.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

საქართველოს პარლამენტში განიხილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების პროექტი, რაც გულისხმობს აღკვეთის ახალი ღონისძიების – გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის შემოღებას. აღნიშნული წარმოადგენს ღონისძიებას, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას პატიმართა რაოდენობის შემცირების მიზნით. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დავალების შესრულების მიზნით უწყებებს შორის თანამშრომლობა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ცვლილებები სრულად არ ეხმიანება დავალებაში მითითებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციასა და ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებულ დოკუმენტს.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ბ) გააგრძელოს მუშაობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტსა და თანამდევ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებზე;

2023 წლის განმავლობაში არ მიმდინარეობდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტსა და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებზე მუშაობა

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

გ) შეიმუშაოს ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი, და ეს პროგრამები მსჯავრდებულებისთვის სავალდებულო გახადოს;

საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამებში მოძალადეთა ჩართულობის გასაზრდელად და არ შემუშავებულა ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამა იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც დამცავი ორდერია გამოცემული. ასევე, არსებული პროგრამები კვლავ ნებაყოფლობითია მსჯავრდებულთათვის.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

დ) დაამტკიცოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტი (ეროვნული რეფერალური მექანიზმი);

2024 წლის 22 თებერვალს უწყებამ დაამტკიცა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი არ ითვალისწინებს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის პრევენციისთვის სახელმწიფო უწყებების მიერ გადასადგმელ კოორდინირებულ ნაბიჯებს.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ე) დაამტკიცოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა და სტანდარტი შშმ პირთათვის ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებების, ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ან მოახდინოს მათი სხვა, თემატურად დაკავშირებულ დოკუმენტში ინტეგრირება; უზრუნველყოს ამ დოკუმენტების შემუშავების პროცესში შშმ პირთა/შშმ პირთა უფლებების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობა;

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა და არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ვ) გააგრძელოს მუშაობა გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების ხელშეწყობისთვის ერთიანი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დასამტკიცებლად ან მოახდინოს მათი სხვა, თემატურად დაკავშირებულ დოკუმენტში ინტეგრირება და ამ პროცესში ჩართოს შშმ პირები/შშმ პირთა უფლებების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები.

სახალხო დამცველი მიესალმება დავალების შესრულების მიზნით დამტკიცებულ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმას (2024-2026 წწ.), თუმცა აღნიშნულმა გეგმამ არ მოიცვა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ყველა მიმართულება.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

4.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	4
ნაწილობრივ შესრულდა	12
არ შესრულდა	23
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	5
დაკარგა რელევანტურობა	1
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	9
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	2
სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის საფუძვლით დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას	1
ჯამი	57

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით:



4.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) გააძლიეროს პენიტენციური დაწესებულებების დებულებების იმ ნორმების აღსრულების მონიტორინგი, რომლებიც პატიმრის სრული შემოწმებისას მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების საკითხს არეგულირებს;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანით აიკრძალოს სრული შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა*

დავალების ფორმულირების ანალიზიდან გამომდინარე, პარლამენტი არ ეთანხმება აპარატის რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც პენიტენციურ დაწესებულებათა დებულებებში ცვლილება უნდა შესულიყო. იმ ფონზე, როდესაც რეკომენდაცია პირდაპირ მიუთითებდა დაწესებულებათა დებულებებში ცვლილების შეტანას, პარლამენტმა სრულიად შეცვალა

აქცენტი და მხოლოდ არსებული დებულებების აღსრულების გაძლიერება მოუწოდა ადრესატ უწყებას. იმ შემთხვევაში კი თუ შესაბამის დებულებებში არ შევიდა ცვლილება, არსებული დებულებების აღსრულება ნაწილობრივ შედეგსაც ვერ მოგვცემს.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

ბ) პენიტენციური კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში გააკეთოს სპეციალური დათქმა, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას მისი ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილებას, და პერიოდულად განახორციელოს აღნიშნული დათქმის (წესის) აღსრულების მონიტორინგი;

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებები კვლავ იძლევა პატიმართა სხეულის ყველა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების შესაძლებლობას.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

გ) დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრები მოათავსოს ახალი პენიტენციური კოდექსით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად (კოდექსის მიღების შემთხვევაში);

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება უალტერნატივო ღონისძიებად. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამარტოო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა.*

სამწუხაროდ, პარლამენტმა არ გაითვალისწინა რეკომენდაციაში მითითებული სტანდარტი პენიტენციური კოდექსის შემუშავების პროცესში, რითიც სრულიად დაიკარგა რეკომენდაციის სულისკვეთება. მიუხედავად ახალი პენიტენციური კოდექსისა, სამწუხაროდ, კვლავაც არ არის ნორმატიულად დადგენილი დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსების უკიდურესობის დასაბუთების და ამ ზომის გამოყენებამდე სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებების გამოყენების ვალდებულება.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

დ) პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმართა მოთავსებისას ახალი პენიტენციური კოდექსით დადგენილი სტანდარტის სრულყოფილად აღსასრულებლად (კოდექსის მიღების შემთხვევაში);

2023 წლის განმავლობაში ცვლილებები შევიდა პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში. ცვლილებით მართალია განისაზღვრა მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობა პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას, თუმცა მათ ვალდებულებას არ წარმოადგენს კრიზისული სიტუაციის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად მუშაობა, რაც შეიძლება მოიცავდეს კრიზისული სიტუაციის გამომწვევი სოციალური ან სხვა ყოფითი საკითხების დადგენას და შეძლებისდაგვარად მათ მოგვარებაზე ზრუნვას. მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციას წარმოადგენს მხოლოდ პატიმრის მდგომარეობის შეფასება, შემდგომში მისი საკანში დაბრუნების ან სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის საკითხის გადასაწყვეტად.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ე) დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში შექმნას კიდევ უფრო უსაფრთხო გარემო, მათ შორის, კედლები და იატაკი რბილი მასალით მოაპირკეთოს;

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, საანგარიშო პერიოდში, არ აღმოფხვრილა გასულ წელს იდენტიფიცირებული ინფრასტრუქტურული პრობლემები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახები და სამარტოო (უსაფრთხო) საკნები არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. N2 და N3 პენიტენციურ დაწესებულებებში რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო საკნებში მოთავსებული პატიმრების მიერ სხვადასხვა ნივთების გადაყლაპვის, სხეულზე ნაკაწრების მიყენების და კედლებზე ხელების და თავის დარტყმის შედეგად სხეულის დაზიანების შემთხვევებს.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ვ) შეისწავლოს, რამდენად არის დაცული დეესკალაციის ოთახში პატიმრის გონივრული ვადით მოთავსებისთვის „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №117 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 27 აპრილის №905 ბრძანებით დადგენილი სტანდარტი;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი და, იმ შემთხვევაში, თუ 24 საათის შემდეგ არ აღმოიფხვრება დეესკალაციის ოთახში ან სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსების საფუძველი, პატიმარი დაუყოვნებლივ გადაიყვანონ №18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა სამოქალაქო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად

მიუხედავად გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯებისა (მაგალითად მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობა პატიმრის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის საკითხის გადაწყვეტაში), ცვლილებებით არ იქნა გაზიარებული რეკომენდაციით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საკითხი და დეესკალაციის ოთახში პატიმრის ერთჯერადად მოთავსების მაქსიმალური ვადა ნაცვლად 24 საათისა, კვლავ 72 საათით განისაზღვრება. აგრეთვე, ცვლილებები არ შეეხო სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის განთავსების წესს.

რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

უწყების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არ არის მიმოხილული შეისწავლა თუ არა უწყებამ, რამდენად არის დაცული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 27 აპრილის №905 ბრძანებით დადგენილი სტანდარტი;

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ზ) უზრუნველყოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების გზით:
ზ.ა) შეისწავლოს პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში ხანგრძლივად მოთავსების, მათ მიმართ ხელბორკილების გამოყენებისა და მათთვის ფსიქიატრიული დახმარების გაუწევლობის პრაქტიკა და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება ამ პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად;
ზ.ბ) შეისწავლოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით გადაყვანის პრაქტიკა და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ 2023 წელს №2, №3, №5, №6 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში, პატიმრების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შესაძლო დასჯის მიზნით გადაყვანის, აგრეთვე, დადასტურებული ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმართა ხანგრძლივად მოთავსების, მათ მიმართ ხელბორკილების გამოყენებისა და მათი ფსიქიატრიული მომსახურებით უზრუნველყოფის არაგეგმური თემატური სისტემური

მონიტორინგი განხორციელდა. თუმცა, უწყებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა თუ არა კანონშეუსაბამო პრაქტიკები და რა რეაგირება განხორციელდა გამოვლენილ დარღვევებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

თ) დაადგინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა რაოდენობისა და პატიმართა რაოდენობის თანაფარდობის სტანდარტი და ამ სტანდარტის შესაბამისად დაგეგმოს ღონისძიებები პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის გადასაჭრელად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ 1 თანამშრომელი*

პარლამენტის დავალება, რეკომენდაციისგან განსხვავებით არ ადგენს კონკრეტულ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც 15 პატიმარზე უნდა მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ 1 თანამშრომელი. თუმცა უწყებას ავალებს კონკრეტული სტანდარტის დადგენასა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას, რაც ემსახურება რეკომენდაციის მიზანს.

რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯი შესაბამისი სტანდარტის დადგენის მიზნით.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ი) გააგრძელოს პრევენციული ღონისძიებების განხორციელება პენიტენციურ დაწესებულებებში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

შემუშავდეს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგია და შემუშავებული სტრატეგია, მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობისთვის, გაუზიაროს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება არ მოიცავს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავების ვალდებულებას.

რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად დასახულია პენიტენციურ დაწესებულებებში „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრების გავლენის შემცირება. ამ ამოცანის შესასრულებლად გეგმით გათვალისწინებულია 8 აქტივობის განხორციელება. ამ ეტაპისთვის, ვინაიდან არ არის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა გასული, აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ შეფასდება სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოებების საფუძვლით შეუძლებელია შეფასდეს.</u>

კ) პენიტენციური კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში განსაზღვროს პენიტენციური დაწესებულების ექიმის ვალდებულება:
კ.ა) პატიმრის სხეულის დაზიანების ყველა შემთხვევაში, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიუხედავად, შესაბამის დოკუმენტში წერილობით მიუთითოს, აქვს თუ არა ეჭვი პატიმრის მიმართ ძალადობის შესახებ;
კ.ბ) პატიმრის სხეულის დაზიანების შეფასებისას მის მიმართ ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში აცნობოს საგამოძიებო ორგანოს;

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია მიზნად ისახავს ნორმატიულად ექიმის ვალდებულების განსაზღვრას, რომ ნებისმიერი სამედიცინო შემოწმებისას დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, მის დოკუმენტირებასთან ერთად, ექიმმა შეაფასოს, შეიძლება თუ არა ეს დაზიანება პატიმარს მიეღო ძალადობის შედეგად და ეჭვის შემთხვევაში, შესაბამის საგამოძიებო ორგანოს შეტყობინების ვალდებულებას (როგორც სპეციალური საგამოძიებო სამსახური - თანამშრომლის მხრიდან ძალადობაზე ეჭვის შემთხვევაში, ასევე, გენერალური ინსპექცია - პატიმრის მხრიდან ძალადობაზე ეჭვის შემთხვევაში). ამ რეკომენდაციის გაცემა გამოიწვია იმან, რომ ექიმები სათანადოდ არ უთითებენ როდის, როგორ და რა ვითარებაში მიიღო პატიმარმა დაზიანება. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში გამოვლინდა საეჭვო დაზიანებები, რომელზეც შეტყობინება არ იყო გაგზავნილი შესაბამის ადრესატთან (როდესაც მაგალითად, თვალბუდეზე აქვს დაზიანება და წერია, რომ საწოლიდან ჩამოსვლისას მიიღო). ამ რეკომენდაციის მიზანია, რომ პატიმართა შორის ძალადობის შემთხვევები არ დარჩეს შეტყობინების გარეშე.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ლ) „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის“ შესაბამისად, სამედიცინო შემოწმებაზე პასუხისმგებელ ყველა ექიმს ჩაუტაროს ტრენინგი პატიმრის დაზიანებების სრულყოფილად აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და ფოტოგადაღების შესახებ;

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ სამედიცინო პერსონალს არ ჩატარებია აღნიშნულ საკითხზე ტრენინგები. ასევე, სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, ტრენინგები რომელიც ჩაუტარდა სამედიცინო დეპარტამენტს რეკომენდაციაში მითითებულ საკითხს არ ეხებოდა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

მ) „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესში“ შეიტანოს ცვლილება, რომლითაც ექიმს მიენიჭება უფლებამოსილება, განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, პატიმრის პოზიციის მიუხედავად, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების ან დაწესებულებიდან გაყვანისა და დაბრუნების დროს მის მიმართ ძალადობის შესახებ ეჭვი გაუჩნდება;

სახალხო დამცველი მიესალმება ახალი პენიტენციური კოდექსის მიღებას, რომელმაც აღნიშნული საკითხი სრულად გაითვალისწინა. კერძოდ, პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი შეამჩნევს მას რაიმე ფიზიკურ დაზიანებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს ამ პაციენტის მიმართ შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ეჭვს აღუძრავდა, ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო შემოწმება უტარდება მისი თანხმობის გარეშეც და სამედიცინო პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. აუცილებელია კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რისთვისაც პენიტენციური კოდექსის თანახმად, შესაბამის უწყებებს 2025 წლის 1 იანვრამდე აქვთ ვადა. სამწუხაროდ, ანგარიშის

შედგენის მომენტისთვის დავალებაში მითითებულ ბრძანებაში დავალების შესრულების მიზნით ცვლილება არ შესულა.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ნ) „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესით“ განსაზღვროს ექიმის ვალდებულება, ისეთ შემთხვევაში, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების ან დაწესებულებიდან გაყვანისა და დაბრუნების დროს პატიმარი (ბრალდებული/მსჯავრდებული) სამედიცინო შემოწმებაზე თანხმობას არ აცხადებს და სხეულზე ხილულ ადგილებში დაზიანებები არ აქვს, მას განუმარტოს, რომ აქვს სამედიცინო შემოწმების მომდევნო 24 საათში ჩატარების უფლება;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *„პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული წესით განისაზღვროს ექიმის ვალდებულება, ისეთ შემთხვევებში, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას ან დაწესებულებიდან მისი გაყვანისა და დაბრუნების დროს, ბრალდებულის/მსჯავრდებული არ აცხადებს თანხმობას სამედიცინო შემოწმებაზე და მას სხეულის ხილულ ადგილებში დაზიანება არ აღენიშნება, სამედიცინო შემოწმებაზე თანხმობის მიღების მიზნით, არაუგვიანეს 24 საათისა, პატიმარს განმეორებით შესთავაზოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება.*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალებაში არ არის იმპერატიულად მითითებული, ექიმის ვალდებულება არაუგვიანეს 24 საათისა განმეორებით შესთავაზოს პატიმარს სამედიცინო შემოწმების ჩატარება.

რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

დავალების შესრულების მიზნით მითითებულ ბრძანებაში არ შესულა ცვლილება.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ო) პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შეიტანოს ცვლილება, რომლითაც განისაზღვრება, რომ სამედიცინო პერსონალსა და პატიმრებს შორის შეხვედრების გამართვა შესაძლებელი უნდა იყოს მესამე პირის დასწრების გარეშე, თუ, ექიმის ან პაციენტის უსაფრთხოების რეალური და იმწუთიერი რისკებიდან გამომდინარე, აუცილებელი არ არის შეხვედრაზე პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურის დასწრება, რაც უნდა დასაბუთდეს. ასეთ, საგამონაკლისო შემთხვევაში პატიმარს სამედიცინო მომსახურება უნდა გაეწიოს საუბრის იმ პირის მიერ მოსმენის გარეშე, რომელიც არ არის სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი, გონივრული დისტანციის დაცვით;

საანგარიშო პერიოდში დავალების შესრულების მიზნით არ შესულა ცვლილებები პენიტენციურ დაწესებულებათა დებულებებში. აგრეთვე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სამედიცინო პერსონალისა და პატიმრების შეხვედრის ფაქტები, რომელთაც არ ახლდა მესამე პირის დასწრების აუცილებლობის სათანადო დასაბუთება.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

პ) უწყებათაშორისი ფორმატით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან გამართოს მსჯელობა პენიტენციურ დაწესებულებებში ექთნების რაოდენობის სტანდარტის დადგენის მიზნით და ამ სტანდარტის დადგენის შემთხვევაში დაგეგმოს ღონისძიებები მათი რაოდენობის გასაზრდელად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ექთნების რაოდენობა კალენდარული წლის ბოლომდე გაიზარდოს მინიმუმ ორჯერ.*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება უწყებას ავალებს მსჯელობის გამართვას ექთნების რაოდენობის სტანდარტის დადგენისა და ამ სტანდარტის დადგენის შემთხვევაში მისი აღსრულების მიზნით გეგმის შემუშავებას. აღნიშნული წარმოადგენს რეკომენდაციის შესრულების წინარე ეტაპს.

<u>რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ</u>

საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში ექთნების რაოდენობის სტანდარტის დადგენის მიზნით დავალებაში მითითებული ფორმატით არ გამართულა საკითხზე მსჯელობა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჟ) 2023 წელს პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადაამზადოს პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 20%;

სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის ნაწილის პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადებას, თუმცა აღნიშნული არ შეადგენს მათი რაოდენობის არანაკლებ 20%-ს.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

რ) გამართოს მსჯელობა №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დამხმარე პერსონალის რაოდენობის სტანდარტის დადგენის მიზნით და ამ სტანდარტის დადგენის შემთხვევაში დაგეგმოს ღონისძიებები მისი რაოდენობის გასაზრდელად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *უზრუნველყოს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დამხმარე პერსონალის რაოდენობის გაზრდა მინიმუმ ორჯერ.*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება უწყებას ავალებს მსჯელობის გამართვას სამკურნალო დაწესებულების დამხმარე პერსონალის რაოდენობის სტანდარტის დადგენისა და ამ სტანდარტის დადგენის შემთხვევაში მისი აღსრულების მიზნით გეგმის შემუშავებას. აღნიშნული წარმოადგენს რეკომენდაციის შესრულების წინარე ეტაპს.

<u>რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ</u>

უწყებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში რა ნაბიჯები გადადგა დავალებაში მითითებული სტანდარტის დადგენის მიზნით.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ს) 2023 წელს პენიტენციური დაწესებულებების შესაბამისი პერსონალის არანაკლებ 50% გადაამზადოს ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხში;

სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში პენიტენციური დაწესებულებების შესაბამისი პერსონალის ნაწილის ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხზე გადამზადებას, თუმცა აღნიშნული არ შეადგენს მათი რაოდენობის არანაკლებ 50%-ს.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

ტ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციისთვის:
ტ.ა) პენიტენციურ სისტემაში დანერგოს ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემა (EHR);
ტ.ბ) პენიტენციური სისტემის შესაბამისი დებულებებით სამედიცინო პერსონალს დაავალოს პაციენტების თაობაზე ინფორმაციის ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემაში (EHR) ასახვა;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დავალებაში მითითებული ელექტრონული მოდულის დანერგვისა და სისტემატიზაციის მიზნით მოლაპარაკებები და ტექნიკური სამუშაოები. თუმცა, აღნიშნული კვლავ არ არის დანერგილი.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

უ) შეიმუშაოს და დანერგოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები;

საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები, რომელიც უზრუნველყოფდა პერიოდული სკრინინგ ინსტრუმენტის დანერგვას. პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგი კვლავ მხოლოდ ერთჯერადად ტარდება, პატიმართა დაწესებულებებში მოთავსებისას.

შეფასება: არ შესრულდა

ფ) პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა; ნორმატიულ დონეზე განსაზღვროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის ვალდებულება:
ფ.ა) შეაფასოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც სტაციონარული მკურნალობა არ სჭირდებათ;
ფ.ბ) შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებისთვის შეიმუშაოს ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიოს მათ შესაბამისი დახმარება;

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება კვლავ მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციით და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება,

ფსიქიატრიული დახმარება კი არ ატარებს ბიო-ფსიო-სოციალურ ხასიათს. აგრეთვე, პაციენტებთან არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ქ) პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა ჯანმრთელობის დასაცავად უზრუნველყოს აგრანულოციტოზის, ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევის, განსაკუთრებით – ჰიპერგლიკემიის განვითარების რისკის კლინიკურ-ლაბორატორიული დინამიკური შეფასება, აგრეთვე ლეიკოციტების კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების სამართავად;

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ დავალებაში მითითებულ საკითხზე ტარდება ანალიზები, თუმცა აღნიშნული ფსიქოტროპული მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი ეფექტების მართვისკენ არ არის მიმართული.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ღ) პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად შეინარჩუნოს კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების განთავსების პრაქტიკა, რათა კონვერტის მიღება პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელზე არ იყოს დამოკიდებული და მისი მიმღები პატიმრის ვინაობის დადგენის შესაძლებლობა გამოირიცხოს, ამასთანავე, შეინარჩუნოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების (ფურცელი, კალმისტარი, კონვერტი) ყველა პატიმრისთვის უფასო ხელმისაწვდომობა;

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები საჩივრის ყუთებთან განთავსებული იყო მხოლოდ N14 პენიტენციურ დაწესებულებაში. გასული წლების მსგავსად, მაგალითად,N2 პენიტენციურ დაწესებულებაში, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების მიღება კვლავ დაწესებულების პერსონალზეა დამოკიდებული, რაც პატიმრის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ყ) შეინარჩუნოს პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრის ყუთების განთავსების პრაქტიკა მათი ვიდეომეთვალყურეობის არეალში მოქცევის თავიდან ასაცილებლად და საჩივრის გამგზავნის ანონიმურობის დასაცავად;

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ დავალებაში მითითებული გარემოება არ აბრკოლებს პატიმრებს ისარგებლონ გასაჩივრების უფლებით.

შეფასება: დაკარგა რელევანტურობა

შ) უზრუნველყოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა გააგრძელოს №6 პენიტენციურ დაწესებულებაში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის წესის დარღვევის შემთხვევებისა და საჩივრების შეტანის გამო პატიმართა მიმართ ანგარიშსწორების სავარაუდო ფაქტების გამოვლენა და შესწავლა და უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა სათანადოდ დასჯა;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2023 წელს ჩატარდა არაგეგმური თემატური სისტემური მონიტორინგი. მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება მითითებული საკითხის შემოწმება/კონტროლი, ხოლო სამსახურებრივი შემოწმების გზით, გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში, დადგება კონკრეტული პირის (პირების) დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

შეფასება: შესრულდა

ჩ) არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, შეიმუშაოს პენიტენციური სისტემის შედარებით მცირე პენიტენციურ დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგია და მომზადებული დოკუმენტი გააცნოს საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;

მისასალმებელია, რომ დაბა ლაითურში გაიხსნა N1 პენიტენციური დაწესებულება, ასევე, მიმდინარეობს რუსთავში მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ნაბიჯებს და მოუწოდებს უწყებას უზრუნველყოს პენიტენციური სისტემის სრულად მცირე დაწესებულებებად დაყოფა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნა. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ უწყებას არ წარმოუდგენია საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პენიტენციური სისტემის შედარებით მცირე პენიტენციურ დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგია და ამავდროულად, ჩვენთვის უცნობია თუ რა ნაბიჯები გადადგა უწყებამ სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

ც) №17 პენიტენციურ დაწესებულებაში გააუქმოს ე. წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები;

№17 პენიტენციურ დაწესებულებაში კვლავ არ გაუქმებულა ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები.

შეფასება: არ შესრულდა

ძ) მაქსიმალურად ინტენსიურად გააგრძელოს მუშაობა პენიტენციურ დაწესებულებებში თითოეული ბრალდებულის 4 კვ. მ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველსაყოფად;

მისასალმებელია, რომ ახალი პენიტენციური კოდექსით 2026 წლის პირველი იანვრიდან ერთ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა გაუთანაბრდება მსჯავრდებულთა საცხოვრებელ ფართს და გახდება არანაკლებ 4 კვ. მ. თუმცა, ამ ეტაპზე პატიმრები არ არიან უზრუნველყოფილნი 4 კვ. მ საცხოვრებელი ფართობით.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

წ) შეამოწმოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში (თავი „პატიმრობის პირობები“) აღწერილი, პენიტენციურ დაწესებულებებში ფიზიკური გარემოს კუთხით არსებული ხარვეზების ნამდვილობა და მათი დადასტურების შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;

საანგარიშო წლის განმავლობაში გადაიდგა ნაბიჯები პენიტენციურ დაწესებულებებში ფიზიკური გარემოს კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მათ შორის მისასალმებელია დაბა ლაითურში 700 პატიმარზე გათვლილი ახალი N1 პენიტენციური დაწესებულების გახსნა. თუმცა პრობლემები კვლავ აქტუალურია. პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ პრობლემური იყო საკნებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების, ვენტილაციის, განათების და ყველა პატიმრისთვის 4 კვ.მ. მინიმალური ფართობის უზრუნველყოფის საკითხი. პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურა არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვანთა განთავსების ადგილებში არსებული ფიზიკური გარემო არ შეესაბამებოდა მოზარდთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ვერ უზრუნველყოფდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას. N5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებას არ ჰქონდა უწყვეტი წყალმომარაგება.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჭ) მაქსიმალურად უზრუნველყოს №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე, ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში;

სამწუხაროდ, 2023 წელს, №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულები და მსჯავრდებულები კვლავ ერთად არიან განთავსებულები, მათ შორის, ერთ საკნებში.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ხ) უზრუნველყოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების გზით გამოავლინოს და აღმოფხვრას №8 და №11 პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვანთა სრული შემოწმებისას სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნისა და ე. წ. ბუქნების გაკეთების მოთხოვნის პრაქტიკა და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №8 და N11 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას, მის მიერ

ე.წ. ბუქნების გაკეთების პრაქტიკის არაგეგმური თემატური სისტემური მონიტორინგი. მიუხედავად ამისა, უწყებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია თუ რა შედეგით დამთავრდა აღნიშნული შემოწმება.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჯ) უზრუნველყოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით შეისწავლოს №8 პენიტენციური დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში კრიმინალური ქცევის მცდელობის ფაქტები და მიიღოს სათანადო პრევენციული ზომები; უწყებას არ წარმოუდგენია რელევანტური ინფორმაცია 2023 წლის განმავლობაში დავალების შესრულების მიზნით გადადგმული ნაბიჯების თაობაზე. პარლამენტისადმი წარდგენილი ანგარიშიდან ვერ ირკვევა ჩატარდა თუ არა №8 დაწესებულებაში დავალებაში მითითებული შემოწმება.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ) დაიწყოს მუშაობა ისეთი მარეგულირებელი ნორმების შესამუშავებლად, რომლებიც განსაზღვრავს არასრულწლოვანი პატიმრის მიმართ უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობას, არასრულწლოვანის სოციალურ კავშირებს, უზრუნველყოფს მულტიდისციპლინური მუშაობის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას და არასრულწლოვანის ქცევის კორექციისთვის აუცილებელი ზომების დაგეგმვას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

უწყებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია 2023 წლის განმავლობაში დავალების შესრულების მიზნით გადადგმული ნაბიჯების თაობაზე. კონკრეტულად, წარმოდგენილ ანგარიშში არ არის ინფორმაცია დავალებაში მითითებული ნორმების შემუშავების მიზნით რა განახორციელა უწყებამ საანგარიშო პერიოდში.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[1]) საჭიროების შემთხვევაში ყველა უცხოენოვანი პატიმარი უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და მარეგულირებელი ნორმების შესახებ;

საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები, რათა გაეძლიერებინა თარჯიმნის მომსახურება არაქართულენოვანი პატიმრებისთვის. თარჯიმნის მომსახურება კვლავ არ არის ხელმისაწვდომი ისეთ შემთხვევებში, როგორიც არის, მაგალითად, ექიმთან, სოციალურ მუშაკთან, ფსიქოლოგთან და დაწესებულების სხვა თანამშრომლებთან კომუნიკაციის საჭიროება.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ᲖᲐ[2]) უზრუნველყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ქართული ენის შესასწავლი კურსების დანერგვა იმ პატიმრებისთვის, რომლებმაც სახელმწიფო ენა არ იციან;

უწყებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2023 წლის მანძილზე მხოლოდ 10 მსჯავრდებულმა გაიარა ქართული ენის შემსწავლელი კურსი. ასევე, მიმდინარე წელს სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის“ მიერ დაიდენტიფიცირდნენ ის უცხოენოვანი მსჯავრდებულები, რომელთაც სურთ ქართული ენის შესწავლა. მათთვის ქართული ენის სწავლების უზრუნველსაყოფად სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან“ თანამშრომლობით იგეგმება ქართული ენის შემსწავლელი კურსის განხორციელება.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ᲖᲐ[3]) პენიტენციურ დაწესებულებებში გაზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად;

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების გადადგმულ ნაბიჯებს, რომლითაც საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა კონკურსები ვაკანტური ადგილების შესრულების მიზნით, თუმცა მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოცმუშაკების და ფსიქოლოგების ნაკლებობაა პენიტენციურ დაწესებულებებში.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ᲖᲐ[4]) ნორმატიულ დონეზე განსაზღვროს სოციალური მუშაკის ვალდებულება:
ᲖᲐ[4].ა) უზრუნველყოს არასრულწლოვანთათვის მათი უფლებებისა და მოვალეობების და გასაჩივრების მექანიზმის თაობაზე ინფორმაციის მარტივი, გასაგები ენით მიწოდება;
ᲖᲐ[4].ბ) არასრულწლოვანებს მათი უფლებებისა და მოვალეობების და გასაჩივრების მექანიზმის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს მარტივი ენით დაწერილი ბროშურის სახით; ეს ინფორმაცია გამოაკრას აგრეთვე არასრულწლოვანთათვის ხელმისაწვდომ ადგილებში;

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ 2023 წელს დავალების შესრულების მიზნით, უწყებას ცვლილებები არ განუხორციელებია. გასაჩივრებისა და არასრულწლოვანთა უფლებების შესახებ არსებული მასალები მიუხედავად იმისა, რომ გამოკრულია საინფორმაციო სტენდზე, მოძველებულია და არ არის ბავშვზე მორგებული.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[5]) შეისწავლოს საერთაშორისო გამოცდილება პატიმართა ავტომანქანებით ტრანსპორტირებისას მათი უსაფრთხოების ზომების გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოს მისი პრაქტიკაში დანერგვა;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *უზრუნველყოს პატიმრების ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტომანქანების აღჭურვა უსაფრთხოების ღვედებით;*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება პირველ რიგში საკითხის შესწავლას და მხოლოდ ამის შემდგომ ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. ამრიგად, დავალებაში განსაზღვრული ვალდებულება რეკომენდაციის შესრულების მიზნით გადადგმული წინარე ეტაპი შესაძლოა იყოს.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

უწყებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია დავალებაში მითითებული საკითხის შესწავლის მიზნით გადადგმული ნაბიჯების თაობაზე.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[6]) №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვანთათვის მოაწყოს სასეირნო ეზო, სადაც მათ დღის განმავლობაში ყოფნის შესაძლებლობა ექნებათ, ან მოძებნოს სხვა, ალტერნატიული გზა;

საანგარიშო პერიოდში არ იყო უზრუნველყოფილი №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვანთათვის მოწყობილიყო სასეირნო ეზო.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[7]) არასრულწლოვან პატიმართათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში ითანამშრომლოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან და გაითვალისწინოს მისგან მიღებული ინფორმაცია;

საანგარიშო პერიოდში გამოწვევად შენარჩუნდა N8 პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციასა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შორის თანამშრომლობის საკითხი ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშობელი უარს ამბობს ბავშვის განათლებაზე.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[8]) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სიღრმისეული კვლევის გზით შეისწავლოს არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ინტეგრაციის საჭიროება;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება მხოლოდ საკითხის საჭიროების თაობაზე მსჯელობის გამართვას მოითხოვს

<u>რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[9]) საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან თანამშრომლობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში გადაყვანილი გამოსაკვლევი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის გაცვლა ამ პირის თანხმობით, მისთვის სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების გამო დანიშნული მკურნალობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად;

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკაში, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში პირის გადაყვანასთან ერთად, ხდება გამოსაკვლევი პირის ფორმა №100 მიწოდებაც. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თან მიაქვს მისთვის დანიშნული მედიკამენტები.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ჰ[10]) განავრცოს „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესით“ დადგენილი შეფასების კრიტერიუმები;

საანგარიშო პერიოდში მითითებულ ბრძანებაში არ შესულა ცვლილება დავალების შესრულების მიზნით

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჯ[11]) მსჯავრდებულთა სხვადასხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე;

საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯი, რათა სარეაბილიტაციო ღონისძიებაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად შეემუშავებინა და დაენერგა ისეთი მექანიზმი, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე. უწყების მიერ მითითებული მექანიზმები არ უკავშირდება უშუალოდ სასჯელის ვადის შემცირებას ან სასჯელის სახის შეცვლას

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჯ[12]) ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დანერგოს ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო ღონისძიებები, აგრეთვე რესოციალიზაციის ღონისძიებებისა და მათში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობა არანაკლებ 50%-ით გაზარდოს;

2023 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა იმ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომლებიც სარეაბილიტაციო აქტივობებში იყვნენ ჩართული. 2023 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა საშუალოდ თვის განმავლობაში 632-ს შეადგენდა, 2022 წელს კი 396-ს. გამომდინარე აქედან, ზრდა 59,6% შეადგინა.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ჯ[13]) შეისწავლოს პენიტენციურ დაწესებულებებში დისტანციური წესით გასამართი სასამართლო სხდომებისთვის სპეციალური ოთახებისა და შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობის გაზრდის საჭიროება და შედეგები აცნობოს საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;

ეპიდემიური გარემოების ცვლილებიდან გამომდინარე რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა დავალება, აღარ არის რელევანტური.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოების საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[14]) დაპატიმრებული საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთა ოჯახიც ქვეყნის ფარგლების გარეთ ცხოვრობს, უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის შექმნას საერთაშორისო ზარის შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად განხორციელების შესაძლებლობა;

საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები, რათა დაპატიმრებული საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთა ოჯახიც ქვეყნის ფარგლების გარეთ ცხოვრობს, უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის შექმნილიყო საერთაშორისო ზარის შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად განხორციელების შესაძლებლობა;

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[15]) შეამოწმოს, არის თუ არა პენიტენციურ დაწესებულებებში საერთაშორისო ზარის ყოველდღე განხორციელების შესაძლებლობა, და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გადადგას ნაბიჯები მათ აღმოსაფხვრელად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *გაუქმდეს საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და საერთაშორისო ზარის განხორციელება შესაძლებელი გახდეს ყოველდღე, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება მხოლოდ საკითხის შემოწმებას და მხოლოდ ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებს

<u>რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[16]) ახალი პენიტენციური კოდექსის აღსრულების პროცესში უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეოპაემნის იმავე კოდექსით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, გაუმჯობესებულად განხორციელების შესაძლებლობა (კოდექსის მიღების შემთხვევაში);

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *გადაიხედოს ვიდეოპაემნის ჩატარების მოქმედი წესი, რათა მისი არსებულ გამოწვევებთან ადაპტირების გზით უზრუნველყოფილი იყოს ვიდეოპაემნის უფრო აქტიური და ხშირი გამოყენება, ასევე დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების ჩატარება*

დავალების მიერ რეკომენდაციის ტრანსფორმაციის შედეგად უწყებას არ დაეკისრა ვალდებულება დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების ჩატარება. შედეგად, დაიკარგა რეკომენდაციის სულისკვეთება.

რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

§[17]) №2, №3, №6, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღჭურვოს ვიდეოპაემნის ორგანიზებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით;

საანგარიშო პერიოდში №2, №3, №6, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები არ არის აღჭურვილი ვიდეოპაემნის მოსაწყობად აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

§[18]) პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შეიტანოს ცვლილება, რომლითაც უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში პატიმრებს გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შეეზღუდებათ;

საანგარიშო პერიოდში, უწყებას დავალების შესრულების მიზნით არ შეუტანია პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილებები.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

§[19]) უზრუნველყოს, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გააგრძელოს ზომების მიღება ბრალდებულის სატელეფონო ბარათის მაქსიმალურად მცირე ვადაში დასამზადებლად;

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებაში ახლად მოთავსებული ბრალდებულებისთვის სატელოფონო ბარათების დამზადებისა და გადაცემის ვადა არ შემცირებულა და ხდება მათი დაწესებულებაში მოთავსებიდან 10-14 დღეში.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

§[20]) უზრუნველყოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა:
§[20].ა) პერიოდული შემოწმების გზით გამოავლინოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტები;
§[20].ბ) აწარმოოს სტატისტიკა გამოვლენილი დარღვევების შესახებ;
§[20].გ) დამრღვევ პირებს დააკისროს პასუხისმგებლობა;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის სისტემური მონიტორინგის გეგმის შესაბამისად შემოწმდა მიმოწერის უფლების რეალიზაციის საკითხი. ამავდროულად, უწყებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია გამოვლინდა თუ არა დარღვევები შემოწმების ფარგლებში და არც წარმოებული სტატისტიკის შესახებ არის ინფორმაცია გასაჯაროებული. აქვე პოზიტივის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში , სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე №6 პენიტენციურ დაწესებულებაში მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტზე ადმინისტრაციის თანამშრომლებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

§[21]) დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში მოაწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმართა სატელეფონო საუბრების კონფიდენციალურ გარემოში მიმდინარეობას;

კვლავ პრობლემურია დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში, კონფიდენციალურ გარემოში სატელეფონო საუბრის განხორციელება. დაწესებულებების ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ ტელეფონის აპარატები განთავსებულია ან სამორიგეოში ან კაბინაში, რომელსაც არ აქვს ხმის იზოლაცია და პატიმრების საუბარი კაბინის გარეთაც ისმის.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

§[22]) ნორმატიულ დონეზე განსაზღვროს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგს:
§[22].ა) სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღების/ჩაბარების დროს 2 ეგზემპლარად შედგება დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული იქნება ბეჭდით და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შეიტანება შემდეგი ინფორმაცია: წერილის ავტორის სახელი და გვარი; წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; წერილის ჩაბარების თარიღი; წერილის ადრესატი; ფურცლების რაოდენობა;
§[22].ბ) დოკუმენტის ორივე ეგზემპლარს ხელს მოაწერენ პატიმარი და სოციალური მუშაკი;
§[22].გ) დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი პატიმარს გადაეცემა, ხოლო მეორე ეგზემპლარი სოციალურ მუშაკთან დარჩება;

უწყების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში მითითებულია, რომ მიმდინარეობს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე შემოსული წერილის დამუშავების მიზნით „საქმისწარმოების ინსტრუქციაზე“ მუშაობა. თუმცა, დავალების მიზანი იყო პატიმრის მიერ სოციალური მუშაკისთვის ღია წერილის ჩაბარების დადასტურება.

<u>შეფასება: უწყების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

3[23]) პენიტენციურ დაწესებულებებში საკვების მომზადების დროს ამ დაწესებულებათა დებულებების შესაბამისად გაითვალისწინოს სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებები;

უწყების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არ არის მითითებული თუ რა ნაბიჯები გადაიდგა 2023 წელს. ანგარიში იმეორებს გასულ წელს წარმოდგენილ ანგარიშში არსებულ ტექსტს.

<u>შეფასება: სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

3[24]) საქართველოს მთავრობასთან ერთად ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტთან პატიმართა რაოდენობის შემცირების ისეთი ინსტრუმენტების შესაქმნელად, რომლებიც შეესაბამება როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №R (99) 22 რეკომენდაციას ციხის გადატვირთულობისა და ციხის მობინადრეთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, ისე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებულ დოკუმენტს ციხის გადატვირთულობის შესახებ (PC-CP (2015) 6 rev 7).

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს პატიმრების რაოდენობის შემცირებას და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (99) 22 რეკომენდაციები ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებული PC-CP (2015) 6 rev 7 დოკუმენტი ციხის გადატვირთულობის შესახებ*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება ითვალისწინებს მხოლოდ აღნიშნულ საკითხზე თანამშრომლობას.

<u>რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ</u>

საქართველოს პარლამენტში განიხილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების პროექტი, რაც გულისხმობს აღკვეთის ახალი ღონისძიების – გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის შემოღება. აღნიშნული წარმოადგენს ღონისძიებას, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას პატიმართა რაოდენობის შემცირების მიზნით. შესაბამისად,

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დავალების შესრულების მიზნით უწყებებს შორის თანამშრომლობა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ცვლილებები სრულად არ ეხმიანება დავალებაში მითითებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციასა და უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებულ დოკუმენტს.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

5. საქართველოს პროკურატურა

5.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პროკურატურის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	2
ნაწილობრივ შესრულდა	3
არ შესრულდა	1
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	1
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	1
ჯამი	8

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს პროკურატურის მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით:



5.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) განაგრძოს ქალაქ თბილისში, ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის სისხლის სამართლის საქმის საერთო სასამართლოებში განხილვის დასრულების შემდეგ გენერალური ინსპექციის მიერ დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება გამოძიების პროცესში დადგენილი შესაძლო ხარვეზების თაობაზე და შემოწმების შედეგების საფუძველზე იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ამასთანავე, შემოწმების დასრულების შემდეგ მისი შედეგები აცნობოს საზოგადოებას, ხოლო შემოწმების მასალები კანონით განსაზღვრული წესით გააცნოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიებაში დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ, ასევე სამსახურებრივი შემოწმების შედეგები პერიოდულად აცნობოს საზოგადოებას; შემოწმების მასალები გააცნოს სახალხო დამცველის აპარატს; სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე, იმსჯელოს სამსახურებრივი გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზე;*

დავალებაში სახალხო დამცველის მიერ შემოწმების შედეგების გაცნობა სამსახურეობრივი შემოწმების დასრულების შემდგომ არის განსაზღვრული, როდესაც სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი შემოწმების მიმდინარეობის დროს აპარატისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. აგრეთვე, დავალებაში არ არის მითითება სამსახურეობრივი გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზე.

რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

უწყების ცნობით, პროკურატურაში დღემდე არ დასრულებულა დავალებაში მითითებულ საკითხზე მიმდინარე სამსახურეობრივი შემოწმება. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოებების საფუძვლით არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ბ) განაგრძოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში (ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს) სიცოცხლის უფლების ხელყოფის აღსაკვეთად წარმოებული სისხლის სამართლის პოლიტიკის თაობაზე ინფორმაციის ასახვა;

სახალხო დამცველი მიესალმება გენერალური პროკურორის მიერ პარლამენტისადმი წარდგენილ საქმიანობის ანგარიშში სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. მიუხედავად ამისა, ანგარიშის ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში კვლავ არ არის წარმოდგენილი სიცოცხლის უფლების ხელყოფის აღსაკვეთად წარმოებული სისხლის სამართლის პოლიტიკის თაობაზე ინფორმაცია. კერძოდ, ანგარიში მოიცავს ინფორმაციებს ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ, როგორიცაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ტრანსნაციონალური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა, თუმცა სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე მსგავსი მონაცემები, რაც სხვა დანაშულებთან მიმართებით არის თავმოყრილი, ანგარიშში ასახული არ არის.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

გ) პროკურატურის სისტემის პროკურორებისა და გამომძიებლების პროფესიული გადამზადების პროგრამაში ჩართოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის №680აპ-17 განაჩენით დადგენილი კრიტერიუმები;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2023 წელს გადამზადდა ფემიციდის საქმეებზე სპეციალიზირებული 17 პროკურორი და 17 მენეჯერი. ტრენინგის მიზანი იყო, მათ

შორის, სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგით იდენტიფიცირებული გამოწვევების განხილვა.

<u>შეფასება: შესრულდა.</u>

დ) არსებითად ახალი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას აცნობოს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, თუ ამით არ დაზარალდება გამოძიების ინტერესები და საფრთხე არ შეექმნება მტკიცებულებათა მოპოვების პროცესს;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *საზოგადოებას პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ.*

სახალხო დამცველის მიზანი იყო საზოგადოების პერიოდული ინფორმირება ზემოაღნიშნულ საქმეებზე დაწყებული გამოძიების მიმდინარეობის და პროგრესის შესახებ, თუმცა საქართველოს პარლამენტმა რეკომენდაციის ტექსტიდან დროითი შეფასების ინდიკატორი ჩაანაცვლა „არსებითად ახალი გარემოებების“ აღმოჩენაზე მითითებით. აღსანიშნავია, რომ ტერმინ, „არსებითად ახალ გარემოებას’ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

<u>რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ე) განაგრძოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე ანგარიშის შემუშავება და მისი საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სამწუხაროდ, უწყებამ გასული წლის მსგავსად გამოაქვეყნა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ანგარიში, თუმცა აღნიშნული კვლავ არ მოიცავს ინფორმაციას მათი ეფექტიანობის თაობაზე.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ვ) შეაფასოს საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების უფლება-მოვალეობების გამიჯვნის მიზანშეწონილობა და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს წინადადებები მათი გამიჯვნის მიზნით;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *გაიწეროს და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სისხლის სამართლის პროცესში ჩართვისა და მათი უფლებამოვალეობების საკითხი*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება მოცემულ საკითხზე რეაგირების მიზანშეწონილობის შეფასებასა და მხოლოდ მისი შედეგების მიხედვით რეაგირებას მოითხოვს

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

უწყების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეფასდა არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლის შედეგადაც არ გამოიკვეთა, კანონმდებლობის ან სისხლის სამართლის პრაქტიკის დონეზე პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა სისხლის სამართლის პროცესში ჩართვისა და მათი უფლება-მოვალეობების გამიჯვნის საჭიროება.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ზ) განაგრძოს შშმ პირების (მათ შორის, შშმ ქალებისა და გოგოების) მიმართ ჩადენილი ძალადობისა და ყველა სხვა დანაშაულის ფაქტების გამოძიებაში ჩართულ თანამშრომელთა განგრძობადი გადამზადება ამ პირთა საჭიროებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების საკითხებში;

საანგარიშო პერიოდში, პროკურატურის თანამშრომელთა მცირე ოდენობისთვის მიმდინარეობდა გადამზადება დავალებაში მითითებულ საკითხებთან მიმართებით. შედეგად ჯამში გადამზადდა 5 პროკურორი, 1 მენეჯერი და 16 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს უწყების შენობების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ფიზიკური, ისე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა დამოუკიდებლად გადაადგილების საჭიროებები.

2023 წელს, პროკურატურის სხვადასხვა ადმინისტრაციულ შენობებში ჩატარდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლითაც გაუმჯობესდა შშმ პირთათვის შენობების

ხელმისაწვდომობა. თუმცა, პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემას წარმოადგენს.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

6.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	15
ნაწილობრივ შესრულდა	3
არ შესრულდა	6
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	7
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	2
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	3
ჯამი	36

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით:



5.2 უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) გამომძიებელთა მომზადებისა და გადამზადების პროცესში გაითვალისწინოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის №680აპ-17 განაჩენით დადგენილი კრიტერიუმები ისეთი დანაშაულების გამიჯვნის მიზნით, როგორიც არის მკვლელობის მცდელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დავალებაში მითითებულ განაჩენზე დაყრდნობით სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა შეიმუშავა რეკომენდაცია. ასევე სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მიმდინარეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომლის ერთ-ერთ მოდულს წარმოადგენს „ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის სპეციფიკა“. კურიკულუმის მასალებად კი გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის №680აპ განაჩენით დადგენილი კრიტერიუმები და ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ბ) შეისწავლოს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირისთვის მისი უფლებების განმარტების პრაქტიკა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში შეიმუშაოს წინადადებები მათ აღმოსაფხვრელად;

უწყების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში შეისწავლეს ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა ოქმები, თუმცა, აღნიშნული შესწავლა არ დასრულებულა.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოებების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

გ) უზრუნველყოს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა გააგრძელოს დაკავებული პირის მიერ ოჯახისთვის ან ადვოკატისთვის მისი დაკავების შესახებ შეტყობინების მოთხოვნის სათანადოდ დოკუმენტირების პრაქტიკაზე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დაკვირვება;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *პოლიციის დაწესებულებებში, შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით, უზრუნველყოს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება*

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი იყო სახელმწიფოს უზრუნველეყო დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით. პარლამენტის მიერ გაცემული დავალება კი მხოლოდ დასახელებული საკითხის შემთხვევითობის პრინციპით დაკვირვებას მოიცავს

<u>რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

დ) შეისწავლოს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებულ პირსა და ადვოკატს შორის შეხვედრების კონფიდენციალურად გამართვის პრაქტიკა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

უწყება არ იზიარებს დავალებას და აღნიშნავს, რომ ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში და პოლიციის დაწესებულებებში უზრუნველყოფილია დაკავებულ პირებსა და ადვოკატებს შორის შეხვედრების კონფიდენციალურად გამართვის შესაძლებლობა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს დაკავებულ პირსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალური შეხვედრის უზრუნველყოფა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ე) გაზარდოს იმ დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს;

სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისში გახსნილ ახალ დროებითი მოთავსების იზოლატორს, რომელშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ვ) შეისწავლოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმების მიერ დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის პრაქტიკა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული დავალების შესრულების მიზნით ჩატარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ შემოწმება და დარღვევა არ გამოვლენილა. აგრეთვე, სახალხო დამცველი მიესალმება ექიმების მიერ გადაღებული ფოტომასალის შენახვის ინსტრუქციის დამტკიცებას, რომელიც მიემართება იმ რეკომენდაციის სულისკვეთებას, რის საფუძველზეც პარლამენტმა აღნიშნული დავალება გასცა.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ზ) გააგრძელოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმებისთვის იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის შესახებ ტრენინგების ჩატარება;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმებისთვის იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის შესახებ ტრენინგები.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

თ) პატრულ-ინსპექტორთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში ჩართოს მოქალაქეებთან ურთიერთობის პროცესის ვიდეოგადაღების კომპონენტი;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *2023 წელს, ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე*

ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები

დავალებამ მთლიანად შეცვალა რეკომენდაციის არსი. მასში არ არის მოცემული პოლიციის თანამშრომელთა ეტაპობრივი აღჭურვა ვიდეოკამერებით. ასევე, შესაბამისი ნორმატიული ცვლილებების მიღება.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

ი) შეისწავლოს არასრულწლოვანი დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიოვიდეოგადაღების განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკა;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება

პარლამენტმა რეკომენდაციის ტექსტის სულისკვეთება სრულიად შეცვალა. ჩვენი მიზანი იყო პოლიციის განყოფილებებში დაწყებულიყო დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღების საპილოტე რეჟიმი. სამწუხაროდ, პარლამენტმა დავალება არა მხოლოდ არასრულწლოვანი დაკავებულებით შემოფარგლა, არამედ მხოლოდ საკითხის შესწავლა მოითხოვა უწყებისგან.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

კ) შეიტანოს ცვლილება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს №625 ბრძანებით დამტკიცებულ „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესში“, კერძოდ, ამ წესის №9 დანართით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმას დაამატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; რა ვითარებაში მოხდა პირის დაკავება; გასწია თუ არა პირმა წინააღმდეგობა; გამოყენებული იქნა თუ არა პირის მიმართ იძულების ზომა და, თუ იქნა გამოყენებული, – რა ფორმით;

2023 წელს, დავალებაში მითითებულ ოქმის ფორმას არ დამატებია შესაბამისი გრაფები.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ლ) გააგრძელოს პოლიციის დაწესებულებებში (დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში) მიყვანილი დაკავებული პირების შენობაში შეყვანისა და შენობიდან გამოყვანის ფაქტების დროის მითითებით აღრიცხვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმება;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით;*

პარლამენტმა დავალებაში არ გაითვალისწინა მითითებულ პირთა აღრიცხვის მიზნით რეესტრის წარმოება და ჩაანაცვლა შემთხვევითობის პრინციპით საკითხის შემოწმებით. აგრეთვე, რეკომენდაცია მიუთითებდა, რომ აღრიცხულიყო ყველა პირი მათი სტატუსის მიუხედავად, ხოლო პარლამენტის დავალება მხოლოდ დაკავებულ პირთა შემოყვანა და გაყვანის დროით შემოიფარგლა, რამაც სრულიად შეცვალა რეკომენდაციის სულისკვეთება.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

მ) შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეამოწმოს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამორიგეო ფუნქციის განმახორციელებელი დანაყოფების მუშაობის ორგანიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 აგვისტოს №605 ბრძანებით დამტკიცებული „სამორიგეო მუშაობის ორგანიზაციის წესის“ №6 დანართში („შინაგან საქმეთა ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნი“) მონაცემთა აღრიცხვის პრაქტიკა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში შეიმუშაოს წინადადებები მათ აღმოსაფხვრელად;

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროში მიმდინარეობს დაკავებულ პირთა მონაცემების აღრიცხვიანობის შემოწმების პროცესი. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად, დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჩანაწერების გაკეთება გაუმჯობესდა, თუმცა, კვლავ იკვეთება ხარვეზები.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ნ) გააგრძელოს დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელს შორის შეხვედრების (მათ შორის, დისტანციური შეხვედრების) კონფიდენციალურ გარემოში გამართვა;

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის განმავლობაშიც არ იყო უზრუნველყოფილი დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო

ორგანოს გამომძიებელს შორის კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრები (მათ შორის დისტანციური შეხვედრები).

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ო) უზრუნველყოს დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებული ექიმების ფოტოაპარატით აღჭურვა;

უწყებამ 2023 წელს უზრუნველყო დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებული ექიმების ფოტოაპარატით აღჭურვა.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

პ) დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებული ექიმებისთვის შეიმუშაოს და დაამტკიცოს ფოტოგადაღების ტექნიკური ინსტრუქცია, რომლითაც დეტალურად განისაზღვრება ის პროცედურები, რომლებიც ხარისხიანი ფოტოების გადაღებას უზრუნველყოფს;

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 25 ივლისის №48 ბრძანებით დამტკიცდა დავალებაში მითითებული ტექნიკური ინსტრუქცია.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ჟ) შეიმუშაოს დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებული ექიმების მიერ გადაღებული ფოტომასალის ერთიანი, სისტემატიზებული შენახვის წესი;

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 25 ივლისის №48 ბრძანებით დამტკიცდა დავალებაში მითითებული ტექნიკური ინსტრუქცია.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

რ) დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტაროს ტრენინგები ცენტრში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების ინსტრუქციისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ;

უწყებამ უზრუნველყო დავალებაში მითითებულ საკითხებზე ექიმების გადამზადება.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ს) უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში აღწერილი, დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პრობლემების ეტაპობრივად გადაჭრა და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს;

სახალხო დამცველის მიესალმება უწყების მიერ 2023 წლის განმავლობაში გადადგმულ ნაბიჯებს, რომლითაც დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პრობლემების ნაწილი აღმოიფხვრა, მათ შორის გაიზარდა მისაწვდომობა. თუმცა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგი იზოლატორები კვლავ არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი განათებით, ხელოვნური სავენტილაციო სისტემითა და სანიტარული კვანძებით. პრობლემათა ერთობლიობა გვაძლევს მოცემულობას, რომ ხანგრძლივი დროით დაკავებულს იზოლატორში გაჩერება შესაძლოა უტოლდებოდეს დამამცირებელ მოპყრობას.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ტ) შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანით უზრუნველყოს, რომ დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებული ექიმის მიერ გამოვლენილი პირის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ ექიმმა დაუყოვნებლივ პირდაპირ დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს გაუგზავნოს;

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 25 ივლისის №48 ბრძანებით დამტკიცდა დავალებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით ექიმის ვალდებულება.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

უ) შეისწავლოს ჟურნალისტების წინააღმდეგ მათ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია, გარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებული საქმეებისა;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *აწარმოოს სპეციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს ჟურნალისტების წინააღმდეგ, მათ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს, გარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული საქმეებისა*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალებით უწყებას მხოლოდ სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის შესწავლის ვალდებულება აქვს, რაც რეკომენდაციის შესრულების წინარე ეტაპია.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

უწყების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არ არის მოცემული დავალების შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ შესწავლასთან დაკავშირებით ინფორმაცია. მეტიც, ანგარიშში აღნიშნულია, რომ უწყების მიერ გადადგმული ნაბიჯები არ ემსახურება კონკრეტულად ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ დანაშაულების სტატისტიკის წარმოების მიზანს.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ფ) გააგრძელოს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტის შესაბამისი სტრუქტურებისა და სხვა სათანადო უწყებების მონაწილეობით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 1 ივლისის №02ს-№010 ერთობლივი საიდუმლო ბრძანების განსაიდუმლოების საკითხის შესასწავლად;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დავალების შესრულების მიზნით საქმიანობა. მათ შორის, ჩართული იყო სახალხო დამცველის აპარატი.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ქ) საერთაშორისო სტანდარტების (მათ შორის, ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ გაეროს 1998 წლის დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპების) თანახმად დაგეგმოს ზომები უფლებადამცველების წინააღმდეგ მათ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკის წარმოების დასაწყებად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, უფლებადამცველების შესახებ გაეროს 1998 წლის დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, განსაზღვრონ უფლებადამცველთა ცნება და აწარმოონ სტატისტიკა მათ მიმართ ჩადენილი ყველა იმ დანაშაულებრივი ქმედების თაობაზე, რომელიც მათ საქმიანობას უკავშირდება*

დავალება, რეკომენდაციისგან განსხვავებით, უწყებას ავალებს მითითებულ საკითხზე მუშაობის დაგეგმვას, რაც რეკომენდაციის შესრულებისთვის წინარე ეტაპია.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

უწყებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯი 2023 წელს უფლებადამცველთა ცნების განსასაზღვრად და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სტატისტიკის წარმოების დასაწყებად. მეტიც, მიუთითებს, რომ აღნიშნული სხვა უწყების კომპეტენციაა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ღ) გამართოს შეხვედრები GPS-მონიტორინგის სისტემაზე ცნობიერების ასამაღლებლად; ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისას მსხვერპლს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია GPS-მონიტორინგის სისტემის თაობაზე;

2023 წლის განმავლობაში უწყების მიერ ჩატარდა შემდეგი საინფორმაციო და მედია კამპანიები: „ნუ წაართმევ ბავშვობას“, „ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანია“, „მე ვირჩევ თანასწორობას“ და „ემეგობრე პოლიციას“. თითოეული აქტივობის დროს, მიუხედავად თემატიკისა, სამიზნე ჯგუფებს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სამინისტროში არსებული მექანიზმების, მათ შორის, ელექტრონული ზედამხედველობის თაობაზეც მიეწოდებათ ინფორმაცია.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ყ) ყოველწლიურად შეიმუშაოს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ანგარიში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე;

უწყების მიერ პარლამენტისადმი წარდგენილ ანგარიშში[4] აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად მუშავდება დავალებაში მითითებული ანგარიში. რადგან აღნიშნული ანგარიში არ არის გასაჯაროებული, შესაძლებლობას მოკლებული ვართ შეფასდეს თუ რამდენად მოიცავს იგი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე ინფორმაციას.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოების საფუძვლით შეუძლებელია შეფასდეს</u>

შ) შეისწავლოს საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სისხლის სამართლის პროცესში ჩართვისა და მათი უფლება-მოვალეობების გამიჯვნის საკითხი და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში შეიმუშაოს წინადადებები მათ აღმოსაფხვრელად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *გაიწეროს და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის*

[4] 2024 წლის 4 აპრილის წერილი # MIA 3 24 00662990

კოორდინატორების სისხლის სამართლის პროცესში ჩართვისა და მათი უფლებამოვალეობების საკითხი

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება მოცემულ საკითხზე რეაგირების მიზანშეწონილობის შეფასებასა და მხოლოდ მისი შედეგების მიხედვით რეაგირებას მოითხოვს

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

უწყების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არ არის მითითებული განხორციელდა თუ არა დავალებაში მითითებული შესწავლა. მეტიც, უწყება არ უთითებს რა ნაბიჯები გადადგა, რათა გაეანალიზებინა არსებული კანონმდებლობის პრაქტიკაში მოქმედების კუთხით სიტუაცია. იგი მხოლოდ არსებულ კანონმდებლობაზე მითითებით შემოიფარგლება.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჩ) ითანამშრომლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან სამედიცინო პერსონალისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად ერთიანი სახელმძღვანელოს შესამუშავებლად, რომლითაც გათვალისწინებული იქნება იზოლატორში გასაწევი დახმარების მოცულობა;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

დამტკიცდეს სამედიცინო პერსონალისთვის ერთიანი სახელმძღვანელო დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მკაფიოდ გაიწერება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სტაციონარში

აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო შემუშავებულია და შესაბამისად, რეკომენდაცია ითვალისწინებდა მის დამტკიცებას. ხოლო დავალებამ კვლავ უწყებას განუსაზღვრა სახელმძღვანელოს შემუშავება.

<u>რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ც) ითანამშრომლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ნივთიერებებზე დამოკიდებული

დაკავებული პირების სამედიცინო დაწესებულებაში დროული რეფერირების განსახორციელებლად;

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად, არ გამოვლენილა ისეთი მძიმე შემთხვევა, რომელიც რეფერირებას საჭიროებდა და პატიმარი არ გადაყვანილა ჰოსპიტალში.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ძ) უზრუნველყოს შშმ პირების (მათ შორის, შშმ ქალებისა და გოგოების) მიმართ ჩადენილი ძალადობისა და ყველა სხვა დანაშაულის ფაქტების გამოძიებაში ჩართულ თანამშრომელთა განგრძობადი გადამზადება ამ პირთა საჭიროებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების საკითხებში;

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ 2023 წელს 700-მდე თანამშრომლის გადამზადებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების და კომუნიკაციის სტანდარტის თაობაზე.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

წ) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს უწყების შენობების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ფიზიკური, ისე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა დამოუკიდებლად გადაადგილების საჭიროებები;

2023 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ადმინისტრაციულ შენობებში ჩატარდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლითაც გაუმჯობესდა შშმ პირთათვის შენობების ხელმისაწვდომობა. თუმცა, უწყების ყველა ადმინისტრაციული შენობის ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემას წარმოადგენს.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჭ) შეისწავლოს „არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №681 დადგენილებით დამტკიცებული „არასრულწლოვანთა რეფერირების წესით“ გათვალისწინებული რეფერირების სუბიექტების ვალდებულებების აღსრულების პრაქტიკა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მიუსაფარ ბავშვთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციისა და მსგავს შესაძლო ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნებისთვის, შემუშავდეს ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტი და გადამზადდნენ სამართალდამცავი უწყების ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლები.

რეკომენდაციისგან განსხვავებით დავალებაში არ მოხვდა ახალი ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავების ვალდებულება და სამართალდამცავთა გადამზადება, რამაც სრულიად შეცვალა რეკომენდაციის სულისკვეთება.

რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილების საფუძვლით, არ ექვემდებარება შეფასებას

ხ) გააგრძელოს ვადიანი სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში მის მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენებისა და ჯგუფური დასჯის პრაქტიკის მონიტორინგი და ასეთი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

უწყების მიერ პარლამენტისადმი მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ არასაწესდებო სასჯელისა და კოლექტიური დასჯის გამოყენების პრაქტიკის გამოყენებაზე სისტემური მონიტორინგი და მსგავსი ფაქტები არ გამოვლენილა.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ჯ) შეისწავლოს ობიექტების დაცვის დეპარტამენტში სახანძრო უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი ეტაპობრივად აღმოფხვრა;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, განხორციელდა დავალებაში მითითებული შესწავლა და კომპეტენციის ფარგლებში აღმოფხვრილია სახანძრო უსაფრთხოების კუთხით არსებული ნაკლოვანებები. დასაცავ ობიექტზე დამატებით დარიგებულია ცეცხლმაქრები,

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ჰ) შეისწავლოს ობიექტების დაცვის დეპარტამენტში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბაზაზე არსებული სპორტული დარბაზების საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების თანაბრად ხელმისაწვდომობის საკითხი და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

უწყების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ჩატარდა თუ არა შესწავლა დავალებაში მითითებული საკითხის აღმოფხვრის მიზნით.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

3[1]) ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ქვედანაყოფებში დროულად ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები და ინვენტარიზაცია, გადაჭრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გააუმჯობესოს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში შსს-ოს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მეორე სამმართველოს პირველი განყოფილების პირველ ქვეგანყოფილებაში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების ახალ შენობაში განთავსების ფაქტს და მათთვის ადეკვატური საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შექმნას.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

3[2]) სხვა შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით გააგრძელოს მუშაობა ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და მისი თანამდევი დანაშაულების თავიდან ასაცილებლად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *შემუშავდეს ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და მისი თანმდევი დანაშაულების თავიდან ასარიდებლად.*

აღნიშნული რეკომენდაცია ითვალისწინებდა ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებას მთავრობის მიერ, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა უწყების მაკოორდინირებელ ორგანოს. სამწუხაროდ, პარლამენტმა ადრესატის ცვლილებით, დაკარგა რეკომენდაციის სულისკვეთება.

<u>რეკომენდაციის ადრესატის ცვლილების საფუძვლით, არ ექვემდებარება შეფასებას</u>

3[3]) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ერთიანი ოპერაციული პროცედურების სახელმძღვანელო წესები ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირებისთვის.

უწყების მიერ პარლამენტისადმი დავალების შესრულების შესახებ წარდგენილ ანგარიშში არ არის მითითებული თუ რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის კუთხით. დამატებით, უწყება მიუთითებს, რომ მთავრობის №437-ე დადგენილებით განსაზღვრულია ბავშვთა რეფერირების საკითხებში ყველა რელევანტური უწყების, მათ შორის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კოორდინირებულად მუშაობის წესი და ამაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ რეფერირების პროცედურები დამატებითი წესების შედგენას არ საჭიროებს.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

7. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

7.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	1
არ შესრულდა	1
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით შეუძლებელია შეფასდეს დავალების შესრულების მდგომარეობა	1
ჯამი	3

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით:

7.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) გააგრძელოს დროებითი მოთავსების იზოლატორში დასაქმებული ექიმებისთვის იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერის, ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის შესახებ ტრენინგების ჩატარება;

უწყების მიერ წარდგენილ ინფორმაციაში არ არის მითითებული თუ რა საკითხზე და რამდენი ექიმი გადამზადდა საანგარიშო პერიოდში.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ბ) შეისწავლოს დაკავებული პირის მიერ ადვოკატისთვის მისი დაკავების შესახებ შეტყობინების მოთხოვნის სათანადოდ დოკუმენტირების პრაქტიკა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

სახალხო დამცველი მიესალმება დავალების შესრულების მიზნით „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორის და სამედიცინო მომსახურების განყოფილების მიერ წარმოებული სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებისა და მათი შევსების ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2017 წლის 5 სექტემბრის №84 ბრძანებაში განხორციელებულ ცვლილებებს.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

გ) შეისწავლოს ექიმსა და დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირს შორის შეხვედრების კონფიდენციალურად გამართვის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების აღსრულების პრაქტიკა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.
უწყება არ იზიარებს აღნიშნული დავალების შესრულების საჭიროებას. მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია, რომ არსებული კანონმდებლობა უზრუნველყოფს ექიმსა და დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირს შორის შეხვედრების კონფიდენციალურად გამართვის შესაძლებლობას.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

8. სპეციალური საგამოძიებო სამსახური

საერთაშორისო სტანდარტების (მათ შორის, ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ გაეროს 1998 წლის დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ ევროპის/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპების) თანახმად განსაზღვროს უფლებადამცველების ცნება და აწარმოოს სტატისტიკა უფლებადამცველების წინააღმდეგ მათ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილი ყველა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში დავალების შესრულების მიზნით სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2023 წლის 31 ივლისის N01/22 ბრძანებით დამტკიცდა რეკომენდაცია - „ადამიანის უფლებათა დამცველის მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების შესახებ“.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

9. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

9.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	2
ნაწილობრივ შესრულდა	1
არ შესრულდა	3
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	1
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	3
ჯამი	10

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით:



9.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) გააგრძელოს ვადიანი სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში მის მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენებისა და ჯგუფური დასჯის პრაქტიკის მონიტორინგი და ასეთი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

უწყების მიერ პარლამენტისადმი მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ არასაწესდებო სასჯელისა და კოლექტიური დასჯის გამოყენების პრაქტიკის გამოყენებაზე კონტროლი. თუმცა, უწყებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა თუ არა კანონშეუსაბამო პრაქტიკები და რა რეაგირება განხორციელდა გამოვლენილ დარღვევებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ბ) გააგრძელოს:
ბ.ა) საქართველოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობისთვის ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;
ბ.ბ) სამხედრო მოსამსახურეთა ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების სათანადო პერიოდულობით გამართვა, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მარტივად გასაგები ენით (რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირებების გარეშე) დაწერილი ბროშურის სახით მიწოდება და ამ ინფორმაციის მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში გამოკვრა;

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სამხედრო მოსამსახურეები არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარ უფლებებზე და გასაჩივრების პროცედურებზე. მეტიც, თავდაცვის სამინისტრო ორი წელია ერთი და იგივე შინაარსის წერილით გვპასუხობს, რომ მიმდინარეობს მუშაობა ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე ბროშურის შემუშავების მიზნით.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

გ) გააგრძელოს საქართველოს თავდაცვის ძალების საცხოვრებელ კორპუსებში შემოწმების შედეგად საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება ინფრასტრუქტურული პრობლემების საბოლოოდ გადასაჭრელად და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად, ამასთანავე, საცხოვრებელი კორპუსები სრულად აღჭურვოს მწერებისგან დამცავი ბადით;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *თავდაცვის ძალების საცხოვრებელ კორპუსებში დროულად ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები და ინვენტარიზაცია, აღმოიფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, საცხოვრებელი შენობები სრულად აღიჭურვოს მწერებისგან დამცავი ბადით*

დავალება, რეკომენდაციისგან განსხვავებით, მითითებულ საკითხზე საჭიროების შემოწმებაზე ახდენს აქცენტირებას და შემოწმების ჩატარების შემდგომ ავალებს უწყებას გადადგას კონკრეტული ნაბიჯები.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია შესწავლილი აქვს თუ არა უწყებას ქვედანაყოფებში ინფრასტრუქტურულ-ჰიგიენური პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში გადაიდგა გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები დავალების შესრულების მიზნით (განხორციელდა 20 (საცხოვრებელი ყაზარმა/ყაზარმა/სასტუმრო) შენობა ნაგებობების სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები) მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთ ქვედანაყოფში ინფრასტრუქტურული და ჰიგიენური პრობლემები კვლავ აქტუალურია. სახალხო დამცველი მიესალმება თავდაცვის ძალებში რიგი ინფრასტრუქტურული გამოწვევების ნაწილის აღმოფხვრას და იმედოვნებს, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხული თითოეული სამხედრო მოსამსახურე უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი და სამუშაო პირობებით.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

დ) გააგრძელოს ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისთვის სპორტული დარბაზების საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება მიემართებოდა ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებულ ბრიგადას. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, აღნიშნულ ქვედანაყოფში არ იმყოფებოდნენ ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოების საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ე) გააგრძელოს საქართველოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის მიერ სახანძრო უსაფრთხოების დასაცავად და ხანძრის ჩასაქრობად აუცილებელი წესების შესწავლის უზრუნველყოფა;

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის პროცესში ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების წესების კუთხით, არ გაუვლიათ არც თეორიული და არც პრაქტიკული სწავლება.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ვ) გააგრძელოს ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების ეკიპირებით (მათ შორის, სამხედრო ფორმის ფეხსაცმლით) საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების თანაბრად უზრუნველყოფა და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის მიერ გამოვლინდა, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს ვადიანი და საკონტრაქტო მოსამსახურეების თანაბარი ეკიპირება.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ზ) გააგრძელოს იმ სამხედრო მოსამსახურეების მიერ სამხედრო უნიფორმითა და სამხედრო ფორმის ფეხსაცმლით სარგებლობის ვადებთან დაკავშირებული უახლესი საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, რომელთაც უწევთ საველე წვრთნების გავლა და სამუშაოების შესრულება, აგრეთვე ზრუნვა და მონიტორინგი ამ პრაქტიკასთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

უწყების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, შესწავლილ იქნა უახლესი საერთაშორისო (ლიეტუვა, ესტონეთი, თურქეთი, პოლონეთი, გერმანია, აშშ) პრაქტიკა სანივთე ქონების (მათ შორის სამხედრო უნიფორმისა და მაღალყელიანი ფეხსაცმელების) სარგებლობის ექსპლუატაციის ვადებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც, გამოიცა ,,სანივთე ქონებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 26 იანვრის N21 ბრძანება, რომელშიც განსაზღვრულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სანივთე ქონებით უზრუნველყოფის ნორმები. ახლებურად ჩამოყალიბდა რიგი საკითხები. კერძოდ, შემუშავდა რეზერვისტების სანივთე ქონებით უზრუნველყოფის ნორმა შემცირებული ვადით. ასევე, სამხედრო სამსახურის რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა შემადგენლობის სანივთე ნორმის მოხმარების ვადები გათანაბრდა პროფესიულ სამხედრო სამსახურის ოფიცრებისთვის დადგენილ ვადებთან.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

თ) შეინარჩუნოს სამხედრო ნაწილების სამედიცინო პუნქტებისა და ლაზარეთების პერსონალის რაოდენობის გაზრდის კუთხით მიღწეული პროგრესი, ამასთანავე, გააგრძელოს სამედიცინო პუნქტებსა და ლაზარეთებში როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად ვაკანსიების 50%-ის ან 50%-ზე მეტის იმგვარად შევსება, რომ შეუვსებელი არ დარჩეს მათი ნახევარი ან მეტი;

თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას 2023 წლის განმავლობაში სამედიცინო პუნქტებსა და ლაზარეთებში 2022 წელს არსებული ვაკანტური ადგილების 50% ან მეტი შეივსო თუ არა.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ი) გააგრძელოს სამხედრო ნაწილების სამედიცინო პერსონალის პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადება;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *კალენდარული წლის ბოლომდე პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს სამხედრო ნაწილებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 50%*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალებაში არ არის მითითებული სამხედრო ნაწილებში დასაქმებული პერსონალის არანაკლებ 50%-ის გადამზადების ვალდებულება

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა უწყების მიერ სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

კ) გააგრძელოს სხვადასხვა უწყებასთან კონსულტაციები საქართველოს თავდაცვის ძალების პირად შემადგენლობაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების გასავრცელებლად.

უწყების მიერ პარლამენტისადმი დავალების შესრულების თაობაზე წარდგენილ ანგარიშში არ არის მითითებული კონკრეტული ინფორმაცია თუ რა ფორმით და რომელ უწყებებთან მიმდინარეობდა კომუნიკაცია თავდაცვის ძალების პირად შემადგენლობაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების გასავრცელებლად.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

10.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	7
ნაწილობრივ შესრულდა	21
არ შესრულდა	39
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	3
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	6
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	1
ჯამი	77

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით:



10.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) უზრუნველყოს, რომ სამინისტროს შესაბამისმა უწყებამ გააუმჯობესოს საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილ პირთა (მათ შორის, მათი გარდაცვალების მიზეზისა და ადგილის) შესახებ სტატისტიკის წარმოება;

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამოქმედდა სტაციონარული შემთხვევების რეესტრი. თუმცა, ბუნდოვანია თუ კონკრეტულად რა ინფორმაცია შეიტანება აღნიშნულ რეესტრში. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგით დგინდება რომ კვლავ პრობლემურია გარდაცვლილი პაციენტების შესახებ ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ბ) შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და ფსიქიატრიული დაწესებულებიდან გადაყვანის შემდეგ გარდაცვლილი ყველა პაციენტის შემთხვევა, დაადგინოს მათი გარდაცვალების მიზეზი, შესაბამის დაწესებულებაში მოთავსების დროულობა და შესწავლის შედეგების საფუძველზე განახორციელოს ღონისძიებები პაციენტთა გარდაცვალების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად;

საანგარიშო პერიოდში დავალებაში მითითებული შესწავლა არ განხორციელებულა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

გ) დაავალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, გააუმჯობესოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და მისი თანამდევი, გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკის შესწავლა;

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, საანგარიშო პერიოდში არ შეუსწავლია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და მათი თანამდევი, გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა, საანგარიშო პერიოდში გადაიდგა გარკვეული დადებითი ნაბიჯები აღნიშნული მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვის კუთხით. კერძოდ, 4 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ჩატარდა ტრენინგები ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენებისა და გვერდითი ეფექტების მართვის საკითხებზე, ამასთან უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, წამლის

გვერდითი მოქმედების შესახებ სამკურნალო ქსელიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მზადდებოდა რეკომენდაციები წამლის მიმოქცევასთან დაკავშირებით.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

დ) ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის შეიმუშაოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების სტრატეგია, რომლითაც განისაზღვრება აგრეთვე ძალადობის მსხვერპლი პაციენტებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება;

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა, შესაბამისად ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ დანერგილა პაციენტებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აგრეთვე ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ე) მონიტორინგის გზით გამოავლინოს და აღკვეთოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტების მიმართ დაწესებულებების პერსონალის ძალადობის (მათ შორის, ინექციების ძალით გაკეთებისა და მედიკამენტების ნების საწინააღმდეგოდ მიცემის) ფაქტები და ამის შესახებ აცნობოს საგამოძიებო ორგანოს;

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის ფაქტებზე 2023 წლის განმავლობაში პირდაპირი მონიტორინგი არ განხორციელებულა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ვ) შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია. ეს ინსტრუქცია უნდა მოიცავდეს პაციენტის უფლებების დაცვისა და მისთვის ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს;

2023 წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ზ) უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სწავლების ჩატარება, სულ მცირე, შემდეგ საკითხებზე: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტის უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პერსონალის მიერ პაციენტისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევის ბიოფსიქოსოციალური მოდელის

მნიშვნელობის გააზრებას და მისი პრაქტიკაში დანერგვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

2023 წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

თ) შეისწავლოს და აღმოფხვრას შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა“ და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ პაციენტთა სხვა პაციენტებისგან ხანგრძლივად განცალკევების პრაქტიკა;

2023 წლის განმავლობაში არ შესწავლილა დავალებაში მითითებული ფსიქიატრიული დაწესებულებები.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ი) შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი დაწესებულებების მიერ სიტუაციის ესკალაციის რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად, რათა საჭირო აღარ გახდეს უკიდურესი ზომების მიღება;

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ავლიპ ზურაბიშვილის სახ. საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოებასთან ერთად, სამინისტრო მუშაობს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებაზე. 2023 წლის 20 თებერვლის MOH 8 23 00186440 წერილის თანახმად, სამინისტრო 2023 წლის მესამე კვარტალში გეგმავდა ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებას, თუმცა ანგარიშის მომზადების დროისთვის , აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებული არ ყოფილა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

კ) მონიტორინგის შედეგად შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერებისა და დასაბუთებულობის, აგრეთვე ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდეგ მათი სტატუსის გადასინჯვის საკითხი;

2023 წლის განმავლობაში არ შესწავლილა დავალებაში მითითებული საკითხი. უწყება ამ დავალების შესრულებას გეგმავს WHO QualityRights tool kit საფუძველზე მომზადებული შიდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შემდეგ.

შეფასება: არ შესრულდა

ლ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციით განაახლოს „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია“;

საანგარიშო პერიოდში არ განახლებულა შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ინსტრუქცია და წესები, რომელზეც სამინისტროს ცნობით, უკვე წლებია მიმდინარეობს მუშაობა.

შეფასება: არ შესრულდა

მ) შეიმუშაოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოების სპეციფიკური წესები, რომლებითაც გათვალისწინებული იქნება აგრეთვე პაციენტთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირებისა და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების წესები;

2023 წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით.

შეფასება: არ შესრულდა

ნ) შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების მათი რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს სტაციონარიდან იმ პაციენტების დაუყოვნებლივ გასაწერად საჭირო ყველა ზომა, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი;

2023 წელს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების შესწავლა არ განხორციელებულა.

შეფასება: არ შესრულდა

ო) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-იდან შემოსულ ფსიქიატრიული შემთხვევების თაობაზე შეტყობინებებზე რეაგირებისთვის გაგზავნილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებისთვის შეიმუშაოს პაციენტის მიერ ფსიქიატრიული დახმარების მიღებაზე მისი დარწმუნების გზით დაყოლიების, პაციენტის ფსიქიატრიულ სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების საჭიროების განსაზღვრისა და მისთვის პაციენტის უფლებების განმარტების დეტალური ინსტრუქცია;

2023 წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით.

შეფასება: არ შესრულდა

პ) შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დაამტკიცოს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა, რომელშიც გასაგები ფორმით იქნება მოცემული სრული, ზუსტი და დეტალური ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების არსისა და პაციენტის უფლებების შესახებ, ამასთანავე, ბრძანებით განსაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, გადასცეს პაციენტს ინფორმირებული თანხმობის ასლი, აგრეთვე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვის უნდა მიმართოს მან, თუ არ სურს სტაციონარში დარჩენა;

2023 წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით.

შეფასება: არ შესრულდა

ჟ) შეიტანოს ცვლილება „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესში“, რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს ამ წესის მე-13 დანართით გათვალისწინებული №IV-300-12/ა ფორმის შევსება;

2023 წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით. შესაბამისად, არ შესულა დავალებაში მითითებულ ბრძანებაში რაიმე ცვლილება დავალების შესრულების მიზნით.

შეფასება: არ შესრულდა

რ) შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, პაციენტის სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ, რეგულარულად უზრუნველყოს მისთვის სტაციონარის შინაგანაწესისა და პაციენტის უფლებების თაობაზე ინფორმაციის ზეპირად და წერილობით, გასაგები ენით მიწოდება;

2023 წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით.

შეფასება: არ შესრულდა

ს) შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დაამტკიცოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის ხელმისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები;

2023 წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ტ) „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტის მიერ სტაციონარის მოკლე ვადით, სტაციონარიდან გაწერის გარეშე დატოვების შესაძლებლობა, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რომლითაც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ხანმოკლე დროით სტაციონარის დატოვების მონიტორინგი. დამატებით, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ დავალებაში მითითებული პრობლემა კვლავ აქტუალურია.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

უ) მიიღოს ყველა ზომა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული პირობების „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებებით“ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის სისტემური მონიტორინგის გზით გასაკონტროლებლად;

2023 წლის განმავლობაში, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს არ განუხორციელებია შემოწმება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ფ) შეისწავლოს, მიეწოდებათ თუ არა პაციენტებს მკურნალობის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად, გასაგები ენით;

მიუხედავად იმისა, რომ უწყება აღიარებს პრობლემის არსებობას, საკითხი დღემდე მოუგვარებელია. შესაბამისად, პაციენტებს არ მიეწოდებათ მკურნალობის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად, გასაგები ენით.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ქ) უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების თანამშრომელთა სწავლება, რათა მათ შეძლონ მედიკამენტ „კლოზაპინის“ გვერდითი ეფექტების ამოცნობა, რომლებმაც შეიძლება პაციენტის სიკვდილი გამოიწვიოს;

„კლოზაპინის“ გვერდითი ეფექტების შესახებ სპეციალური სწავლება ფსიქიატრიული დაწესებულებების თანამშრომლებისთვის სამინისტროს მიერ არ ჩატარებულა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ღ) დაავალოს შესაბამის სამსახურს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სამედიცინო ბარათების რეგულარულად შემოწმება, რათა სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათები საქართველოში არსებული მოთხოვნების შესაბამისად იყოს ნაწარმოები;

უწყების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არ არის მითითებული ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დაევალა და განახორციელა თუ არა აღნიშნული შესწავლა 2023 წელს. პასუხი ზოგადად მიუთითებს, რომ საკითხი მისი კომპეტენციის სფერაა.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ყ) უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების (მათ შორის, სტომატოლოგიური მომსახურების) მიწოდების სტანდარტის უმოკლეს ვადაში შემუშავება და დანერგვა, მისი აღსრულების ზედამხედველობა და მონიტორინგი და შედეგების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;

საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით. სამინისტრო სამომავლოდ გეგმავს სამედიცინო მომსახურების მიწოდების სტანდარტების მომზადებას.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

შ) უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;

საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გაუდგამს რაიმე ნაბიჯი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებისთვის სკრინინგული გამოკვლევების ჩატარების ხელშესაწყობად

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჩ) შეიმუშაოს ღონისძიებები შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ქალთა და მამაკაცთა თავშესაფრებისა და შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ ბედიანის თავშესაფრის დახურვის (გრძელვადიან პერსპექტივაში) მიზნით; ბენეფიციარები გადაიყვანოს მცირე ზომის საოჯახო ტიპის საცხოვრებლებში;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *დაიხუროს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ქალთა და მამაკაცთა თავშესაფრები და „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ ბედიანის თავშესაფარი, ბენეფიციარები გადაიყვანონ მცირე ზომის საოჯახო ტიპის საცხოვრებლებში;*

რეკომენდაცია მოითხოვდა აღნიშნული დაწესებულებების მყისიერ დახურვას, ხოლო პარლამენტმა აღნიშნული მიზნით ღონისძიებების შემუშავება დაავალა უწყებას.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

მისასალმებელია ბედიანის ტერიტორიაზე მცირე ზომის საცხოვრისების მშენებლობის დაწყება ბენეფიციართა საცხოვრებელი პირობების და ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების მიზნით, თუმცა 2023 წლის განმავლობაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თავშესაფრის ბენეფიციარები კვლავ იმყოფებოდნენ დიდი ზომის ინსტიტუციაში. სახალხო დამცველი მოუწოდებს უწყებას ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოს მცირე ზომის საოჯახო ტიპის საცხოვრებლით.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ც) თავშესაფრების დახურვამდე და სრულ დეინსტიტუციონალიზაციამდე თავშესაფრებისა და საცხოვრისებისთვის:
ც.ა) ნორმატიულ დონეზე განსაზღვროს და დანერგოს გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მე-15 და მე-16 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმი;
ც.ბ) შეიმუშაოს ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების სტრატეგია;
ც.გ) ნორმატიულ დონეზე განსაზღვროს ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება;

საანგარიშო პერიოდში ნორმატიულ დონეზე არ შემუშავებულა დავალებაში მითითებულ საკითხებზე სტრატეგია. რაც შეეხება რეგულაციებს, უწყების მიერ პარლამენტისთვის

წარდგენილ ანგარიშში მითითებული სააგენტოს დირექტორის მიერ მიღებული ბრძანება (N1000318 3 23 00000061 21/04/2023) ვრცელდება მხოლოდ შშმ პირთა პანსიონატებზე, მაგრამ არ ვრცელდება დანარჩენ თავშესაფრებზე და საცხოვრისზე, მათ შორის, ხონში მდებარე თავშესაფარზე, სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებზე ;

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ძ) ყველა თავშესაფარსა და საცხოვრისში განახორციელოს მონიტორინგი ამ დაწესებულებების პერსონალის მიერ ბენეფიციარებისთვის ინექციების ძალით გაკეთებისა და მედიკამენტების ნების საწინააღმდეგოდ მიცემის ფაქტების გამოსავლენად, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;

რომ უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წელს არაგეგმიური მონიტორინგები განხორციელდა მარტყოფისა და დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატებში და სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოქმედ მსგავსი ტიპის შემდეგ ორგანიზაციებში: ა(ა)იპ ,,ხელი ხელს“ მდებარე ქ. ბათუმში, ,,თეას სახლი“, ა(ა)იპ ,,იმერეთი“, შშმ პანსიონატი ,,ბარბარე“, ,,ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „ბ და კომპანია“, ა(ა)იპ „ხელი ხელს“ მდებარე ქ. სენაკში, ა(ა)იპ ,,იცხოვრე ჩვენთან“. თუმცა, 2023 წელს არ განხორციელებულა მონიტორინგები იმ საცხოვრისებში და თავშესაფრებში, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით თავშესაფრის კომპონენტით და აჭარის ჯანდაცვის პროგრამით (აჭარის საცხოვრისები) ფინანსდებიან.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

წ) შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დაამტკიცოს თავშესაფრებისა და საცხოვრისებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის ხელმისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური პროცედურა;

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა დავალებაში მითითებულ საკითხებზე რეგულაცია. უწყების მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ ანგარიშში მითითებული სააგენტოს დირექტორის მიერ მიღებული ბრძანება (N1000318 3 23 00000061 21/04/2023) ვრცელდება მხოლოდ შშმ პირთა პანსიონატებზე. ხოლო არ ვრცელდება დანარჩენ თავშესაფრებზე და საცხოვრისზე, მათ შორის, ხონში მდებარე თავშესაფარზე და სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებზე (ბედა კომპანია);

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჭ) ბენეფიციარის ამბულატორიული ფსიქიატრიული მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახადოს „ამბულატორიული

სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“ №9 დანართით გათვალისწინებული №IV-200-8/ა ფორმის შევსება და უზრუნველყოს შესაბამისი დაწესებულების მიერ ბენეფიციარებისთვის მკურნალობის შესახებ ინფორმაციის გასაგები ენით მიწოდება;

საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გაუდგამს ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ხ) შეისწავლოს თავშესაფრებში არსებული საცხოვრებელი პირობები და მათ დახურვამდე მიიღოს ყველა საჭირო ზომა ბენეფიციართა ღირსეულ და უსაფრთხო პირობებში განსათავსებლად;

მიუხედავად გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯისა, თავშესაფარში არსებული პირობები საჭიროებს დამატებით გაუმჯობესებას. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შემოწმებული ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისთვის არ არის ადაპტირებული გარემო. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის თავშესაფრებში არ არის ლიფტები. სენაკის ალტერნატიულ საცხოვრისებში კოტეჯების შესასვლელები აღჭურვილია მარტივი ადაპტირების წესით მოწყობილი პანდუსებით, რომლებიც არ არის უსაფრთხო პირის დამოუკიდებლად გადაადგილებისთვის, ასევე დაბრკოლებას ქმნის კოტეჯების კარის ზღურბლი, არ არის ადაპტირებული სველი წერტილებიც.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჯ) შეცვალოს სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების მოდელი თავშესაფრებში მყოფი ბენეფიციარებისთვის უფასო სამედიცინო მომსახურების სრული და დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გაუდგამს ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით. ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა არ ფარავს ბენეფიციარების სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობას, მათ შორის, ფსიქოტროპული მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვის მიზნით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევებისა და ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების ღირებულებას.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ᲖᲗ) უზრუნველყოს ყველა თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად არ გამოვლენილა, რომ თავშესაფრებში ჩატარებულიყო სკრინინგული გამოკვლევები.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ᲖᲗ[1]) მოახდინოს 2023 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში შესატანი ცვლილების ინიცირება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება მედიკამენტების გვერდითი ეფექტების შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით მართვა;

სახალხო დამცველი მიესალმება ფსიქიკური ჯანმრთელობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამაში შეტანილ ცვლილებებს, რომლითაც სახელმწიფო პროგრამის სტაციონარული სერვისების კომპონენტში, სტაციონარულ დაწესებულებების ვალდებულებად განისაზღვრა მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა. თუმცა, აღნიშნული შეეხო მხოლოდ სტაციონარულ ნაწილს, ცვლილებებით არ იქნა გათვალისწინებული მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა თავშესაფრებში და საცხოვრისებში..

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ᲖᲗ[2]) უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების როლის გაზრდა იმით, რომ განსაზღვროს სოციალური მუშაკის ვალდებულება, მოიძიოს და პაციენტებს გააცნოს თემში არსებული პროგრამები;

უწყების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, დავალების შესრულების მიზნით გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მომზადებულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სოციალური მუშაობის პრაქტიკის სტანდარტები, რომელიც დამტკიცდება უახლოეს მომავალში .

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ᲖᲗ[3]) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სიღრმისეული კვლევის გზით შეისწავლოს არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ინტეგრაციის საჭიროება;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა

დავალება, რეკომენდაციისგან განსხვავებით, მხოლოდ აღნიშნული ინტეგრაციის საჭიროების შესწავლას მოიცავს.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

3[4]) „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მიერ ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა;

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს პაციენტების მიერ ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით თავისუფლად სარგებლობის უფლების რეალიზება. ტელეფონზე დარეკვის შესაძლებლობაც ექიმის და დამხმარე პერსონალის ნებართვასა და კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

3[5]) აღმოფხვრას შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ პაციენტების მიერ ამანათების მიღების შემაფერხებელი გარემოებები;

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავ არ აღმოფხვრილა ამანათების მიღების პრობლემა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (ყოფილ. აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი). შესაბამისად, კვლავ მოქმედებს გარკვეულ შემთხვევებში ამანათების მიღების დაუსაბუთებელი შეზღუდვები.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

3[6]) მიიღოს ზომები ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პაციენტისა და მასთან მისული პირის შეხვედრისთვის კონფიდენციალური სივრცის მოსაწყობად;

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების პირობების განახლებას, რომლის შედეგადაც, დაწესებულებას მოეთხოვება პაციენტთან შეხვედრების სივრცის/ოთახის ქონა, სადაც დაცული უნდა იქნეს პაციენტის პრივატულობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპები. თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავ არის ფსიქიატრიული დაწესებულებები (ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი; ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი), სადაც პაციენტების მნახველების მისაღებად არ არის ხელმისაწვდომი სათანადო ინფრასტრუქტურა.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

ჰ[7]) შეიტანოს ცვლილება „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების მე-9 დანართში, რის შედეგადაც პაციენტს გაუტკივარებაზე ინფორმირებული თანხმობის განცხადებასთან ერთად ჰემოტრანსფუზიაზე უარის თქმის შესაძლებლობაც ექნება;

სახალხო დამცველი მიესალმება „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონში შესულ ცვლილებებს, რომელიც, ადამიანის სისხლის ან მისი კომპონენტის ტრანსფუზიის პროცედურის გაწევისას, წერილობითი ინფორმირებული თანხმობის აუცილებლობას ადგენს. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების შეტანა.

შეფასება: შესრულდა

ჰ[8]) საქართველოში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისთვის შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები იმ მეთოდების/პრეპარატების გამოყენების დაშვებისა და ინსტრუქციის თაობაზე, რომლებითაც შესაძლებელია ჰემოტრანსფუზიის პროცედურის ჩანაცვლება;

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა სახელმძღვანელო მითითებები იმ მეთოდების/პრეპარატების გამოყენების დაშვებისა და ინსტრუქციის თაობაზე, რომლებითაც შესაძლებელია ჰემოტრანსფუზიის პროცედურის ჩანაცვლება;

შეფასება: არ შესრულდა

ჰ[9]) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ერთიანი ოპერაციული პროცედურების სახელმძღვანელო წესები ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირებისთვის;

სახალხო დამცველისთვის ცნობილია, რომ დამტკიცდა „სოციალური მუშაკებისთვის ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევათა მართვის შესახებ“ პრაქტიკულ სახელმძღვანელო დოკუმენტი დავალების შესრულების მიზნით.

შეფასება: შესრულდა

ჰ[10]) შეიმუშაოს კრიტერიუმები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში პირის

ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების მოსარგებლედ რეგისტრაცია მიმართვისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ (გამონაკლისის სახით) და მის მიერ ამ მომსახურების მიღება;

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული წესი არ ითვალისწინებს ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების მისაღებად მე-13 კვირის შემდეგ მიმართვის საგამონაკლისო შესაძლებლობას.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[11]) მშობიარობისშემდგომი ზრუნვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები ჩართოს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში;

საანგარიშო პერიოდში მშობიარობისშემდგომი ზრუნვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები არ ჩართულა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში;

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[12]) შეისწავლოს საერთაშორისო გამოცდილება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის აბორტის სერვისის მისაწოდებლად;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> შევიდეს ცვლილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის *მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებაში №01-74/ნ, და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის აბორტის სერვისის მიღება შესაძლებელი გახდეს გამოძიების დაწყებისთანავე*

დავალება რეკომენდაციაში მითითებული საკითხის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას განუსაზღვრავს უწყებას, რაც რეკომენდაციის შესრულების წინარე ეტაპია.

<u>რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ</u>

უწყების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არ არის მითითებული განხორციელდა თუ არა დავალებაში მითითებული შესწავლა.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[13]) შეიმუშაოს მკაფიო სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებების მისაწოდებლად პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მშენებლობის/რეაბილიტაციის

პროცესის დაჩქარებასა და ოპტიმალურ მართვას და რომლითაც განსაზღვრულია შესაბამისი ვადები;

მიუხედავად იმისა, რომ უწყებამ მიგვითითა, რომ დავალებაში მითითებული გეგმა შემუშავებული იყო, მოთხოვნის მიუხედავად, უწყებას არ წარმოუდგენია აღნიშნული დოკუმენტაცია. დამატებითი კომუნიკაციის შედეგად გამოვლინდა, რომ გეგმა საანგარიშო პერიოდში კვლავ განხილვის პროცესში იყო და მისი შემუშავების პროცესი არ იყო დასრულებული.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[14]) შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება დამხმარე სამედიცინო პერსონალის კომპეტენცია, დარეგულირდება მისი დიპლომისშემდგომი განათლების, უწყვეტი პროფესიული განათლებისა და განვითარების საკითხები და გათვალისწინებული იქნება სავალდებულო დებულებები;

2023 წლის განმავლობაში უწყების ავტორობით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონებში და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელდა ცვლილებები დავალების შესრულების მიზნით.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ჰ[15]) შეიმუშაოს საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ახალი ნორმები/სტანდარტი, რომლებითაც/რომლითაც დადგინდება სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესაფასებლად მომზადებული სარეცენზიო დოკუმენტაციის პროფესიული განვითარების საბჭოსთვის განსახილველად დროულად და სრულყოფილად წარდგენის ვალდებულება;

უწყების მიერ გადადგმული ნაბიჯები არ პასუხობს ადეკვატურად დავალების მიზნებს. ჯანდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №01-9/ნ ბრძანებაში 2023 წლის 29 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით, მხოლოდ საბჭოს სხდომის დღე შეიცვალა და პარასკევის ნაცვლად დადგინდა ხუთშაბათი, რაც ვერ უზრუნველყოფს დავალების შესრულებას.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[16]) გააგრძელოს საინფორმაციო კამპანიის წარმოება შრომის უსაფრთხოებასა და შრომით უფლებებზე, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის მანდატზე დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ცნობიერების ასამაღლებლად;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დავალებაში მითითებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

§[17]) უზრუნველყოს საცხოვრისის პოლიტიკის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში ყველა დაინტერესებული ჯგუფის (მათ შორის, უსახლკარო პირთა, სამოქალაქო სექტორისა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა) მონაწილეობა;

საანგარიშო პერიოდში არ მიმდინარეობდა დავალებაში მითითებული სამუშაო ჯგუფის მუშაობა.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოების საფუძვლით შეუძლებელია შეფასდეს დავალების შესრულების მდგომარეობა</u>

§[18]) უზრუნველყოს საქართველოს 2022–2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, 2022 წელს შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ:
§[18].ა) მოამზადოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და მათი დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტები;
§[18].ბ) დაამტკიცოს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პაციენტთა უფლებებთან დაკავშირებული გასაჩივრებისა და მასზე რეაგირების მექანიზმი;
§[18].გ) შეიმუშაოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრის სტანდარტი და თავშესაფრების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში უზრუნველყოს აღნიშნულ პირთა ამ სტანდარტის შესაბამის საცხოვრისებში განთავსება;
§[18].დ) შექმნას ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პაციენტთა უფლებების დაცვისა და მათი მომსახურების ხარისხის შეფასების მონიტორინგის ჯგუფი;
§[18].ე) გადახედოს მედიკამენტების შესყიდვის მექანიზმს და შესაბამისი ცვლილება შეიტანოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში;

სახალხო დამცველისთვის მისასალმებელია ბედიანის ტერიტორიაზე მცირე ზომის საცხოვრისების მშენებლობის დაწყება ბენეფიციართა საცხოვრებელი პირობების და ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების მიზნით. სამწუხაროდ, დავალებაში მითითებული სხვა აქტივობები 2023 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა.</u>

§[19]) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გააძლიეროს ფინანსური და ადამიანური რესურსებით მხარდაჭერის სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და ხარისხიანი მონიტორინგისა და ზედამხედველობის განსახორციელებლად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გაძლიერდეს ფინანსური და ადამიანური რესურსებით, მხარდაჭერის სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და ხარისხიანი მონიტორინგისა და ზედამხედველობის ჩასატარებლად. მათ შორის: ο მკაცრად განისაზღვროს ერთი სოციალური მუშაკისათვის დასაკისრებელი საქმეების მაქსიმალური რაოდენობა; ο შეიცვალოს მხარდაჭერაზე მონიტორინგის პროცედურა და ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს მხარდაჭერის მიმღები პირის საცხოვრებელ ადგილზე ხშირ ვიზიტებს და მხარდაჭერის მიმღებ პირებთან აქტიურ კომუნიკაციას; ο სოციალური მუშაკებისა და მხარდამჭერი პირებისთვის შემუშავდეს და დაინერგოს უწყვეტი გადამზადების სისტემა, რომელიც მოიცავს შშმ პირების უფლებების, მათთან კომუნიკაციისა და ეფექტიანი მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელების მიდგომებს

დავალებაში პარლამენტმა არ გაითვალისწინა ის მნიშვნელოვანი კომპონენტები, რაც ჩამოთვლილია სახალხო დამცველის რეკომენდაციაში მხარდაჭერის სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და ხარისხიანი მონიტორინგისა და ზედამხედველობის ჩასატარებლად. პარლამენტი მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლა.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გაძლიერების მიზნით, მათ შორის, დასაქმებული პირებისა და მათი ხელფასების გაზრდის კუთხით, თუმცა კვლავ პრობლემას წარმოადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფინანსური და ადამიანური რესურსებით გაძლიერების საკითხი.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჰ[20]) შეისწავლოს შშმ პირთა პანსიონატებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების (დარღვევების) მქონე პირთა თავშესაფრებში ჩარიცხვის მომლოდინე პირების ინდივიდუალური საჭიროებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება მათი ამ დაწესებულებებში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად;

საანგარიშო პერიოდში არ შესწავლილა იმ შშმ პირების ინდივიდუალური საჭიროებები, რომლებიც ელოდებიან თავშესაფარში ჩარიცხვას.

<u>შეფასება: არ შესრულდა.</u>

ჰ[21]) გააფართოოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისცენტრების გეოგრაფიული არეალი და ხელი შეუწყოს დასაქმების ვებგვერდების ყველა სახის შეზღუდვის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობას;

სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში დასაქმების ხელშეწყობის სერვისების გეოგრაფიული არეალის გაფართოებას, რომლის შედეგადაც დამატებითი სერვისცენტრები გაიხსნა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში. სააგენტოს მითითებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის გამართვისთვის ტექნიკური სამუშაოები. სისტემა ხელმისაწვდომი იქნება ყველა სახის შეზღუდვის მქონე პირისთვის.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჰ[22]) დასაქმების ხელშეწყობის მოქმედი პროგრამების/კომპონენტების შესახებ ინფორმაცია გაავრცელოს მასშტაბურად, ხელმისაწვდომი ფორმატების გამოყენებით;

სახალხო დამცველი მიესალმება დასაქმების ხელშეწყობის მოქმედი პროგრამების/კომპონენტების გავრცელების მიზნით უწყების მიერ გადადგმულ არაერთ ნაბიჯს. თუმცა, ინფორმაცია არ გავრცელებულა მისაწვდომი ფორმატების გამოყენებით.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჰ[23]) შშმ პირთა დასაქმების ხელშესაწყობად და სამუშაო ადგილებზე მათ მხარდასაჭერად შეიმუშაოს დოკუმენტები (გაიდლაინი, შესაბამისი რეკომენდაციები), რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ორიენტირებული იქნება შშმ პირთა უფლებებზე დაფუძნებულ ხედვაზე, ეთიკურ ტერმინებსა და კომუნიკაციაზე, უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე, გონივრული მისადაგების პრაქტიკულ ასპექტებსა და თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგიების დანერგვაზე;

სახალხო დამცველი მიესალმება სსიპ დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს საანგარიშო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს, რომელთა მიზანია დასაქმების ადგილებზე უნივერსალური დიზაინის პრინციპის იმპლემენტირება, თუმცა საანგარიშო წელში დავალებაში მითითებული დოკუმენტები არ შემუშავებულა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჰ[24]) პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მშობლებისთვის შექმნას პოზიტიური მშობლობის, ბავშვთან კომუნიკაციის, წყვილთა და საოჯახო დავებზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *შეიქმნას პოზიტიური მშობლობის, ბავშვთან კომუნიკაციის, წყვილთან და საოჯახო დავებზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი*

დავალებამ, რეკომენდაციისგან განსხვავებით, მითითებული სერვისების შექმნა შემოფარგლა მხოლოდ პროგრამებში ჩართული ბენეფიციართათვის.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

საანგარიშო პერიოდში არ დანერგილა პოზიტიური მშობლობის, ბავშვთან კომუნიკაციის, წყვილთა და საოჯახო დავებზე ორიენტირებული ცალკე სერვისი.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჯ[25]) სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაზარდოს დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამისა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის დაფინანსების მოცულობა და შეიმუშაოს სერვისის ეფექტიანობის შეფასებისა და ეტაპობრივად გაძლიერების გეგმა;

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამისა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის დაფინანსების მოცულობა. თუმცა, არ შემუშავებულა დავალებაში მითითებული გეგმა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჯ[26]) სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლებში, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებსა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებში დასაქმებული პირები გადაამზადოს აღსაზრდელთა რთული ქცევის, ემოციური გამწვავების პრევენციისა და მართვის საკითხებში, აგრეთვე თითოეულ სახლში/თავშესაფარში არასრულწლოვანებთან მუშაობისას გამოვლენილ სხვა სპეციფიკურ თემებზე;

2023 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გადამზადება მცირე საოჯახო ტიპის და ბავშვთა თავშესაფრებში გადამზადება თანამშრომლების დავალებაში მითითებულ საკითხებზე.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ჯ[27]) შეიმუშაოს სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ფსიქოლოგების საქმიანობის ეფექტიანობისა და შედეგზე ორიენტირებულობის ინდიკატორები; ამის საფუძველზე გადახედოს მათ სამუშაო დატვირთვას და განსაზღვროს მათი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებები;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სოციალური მუშაკების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ინსტრუმენტის შემუშავება. თუმცა, იურისტების ან ფსიქოლოგების მიმართულებით არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჰ[28]) ყოველწლიურად განსაზღვროს თემატური საკითხები და სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის არანაკლებ ნახევარი გადაამზადოს ამ საკითხებში;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ მოიცავს დავალების შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად საკმარის ინფორმაციას. მისასალმებელია 2023 წლის განმავლობაში უწყების მიერ განხორციელებული გადამზადებები და ჩატარებული არაერთი ტრენინგი, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაციით ვერ დგინდება გადამზადებული თანამშრომლები წარმოადგენდნენ თუ არა დასაქმებული სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის არანაკლებ ნახევარს, როგორც ეს დავალებითაა მოთხოვნილი.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[29]) აქტიურად განახორციელოს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირება და მათ მიაწოდოს ინფორმაცია დამხმარე სოციალურ სერვისებში ჩართვის შესახებ, აგრეთვე განახორციელოს კოორდინაცია მუნიციპალიტეტებთან;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ მოიცავს დავალების შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად საკმარის ინფორმაციას.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[30]) სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გახსნას 24-საათიანი მომსახურების გამწევი თავშესაფარი;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ გახსნილა 24სთ-იანი მომსახურების გამწევი თავშესაფარი.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[31]) საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან ერთად შეიმუშაოს კოორდინაციის მექანიზმი იმ დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგისა და ზედამხედველობის განსახორციელებლად, რომლებიც მუნიციპალიტეტების დაფინანსებით/თანადაფინანსებით ფუნქციონირებენ;

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს დავალებაში მითითებული საკითხის მოგვარებისა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, ზრუნვის სააგენტოსთან თანამშრომლობით, შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის მიმართულებით. თუმცა, ამ ეტაპზე კოორდინაციის მექანიზმი შექმნილი არ არის.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჴ[32]) სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ ხანდაზმულ პირებზე მზრუნველი ორგანიზაციების (ხანდაზმულთა დაწესებულებების) სერვისის მიმწოდებლებად რეგისტრაციის პროცესში შეამოწმოს მათი „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალურ სტანდარტებთან“ შესაბამისობა;

2023 წელს დარეგისტრირდა 4 ხანდაზმულთა სათემო ორგანიზაცია: შპს „დათე“, ა(ა)იპ „აია ემპათია“, ა(ა)იპ ,,თბილი კერა მესხეთი'' და ა(ა)იპ ,,მადლი 2023''. სამინისტრომ წარმოადგინა რეგისტრაციის პროცესში მათი სტანდარტებთან შესაბამისობის დოკუმენტაცია.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ჴ[33]) უზრუნველყოს მომსახურების მიწოდებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის საშუალებების, ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებზე ხანდაზმულთა დაწესებულებების პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სატრენინგო სასწავლო-მეთოდური პროგრამების დამტკიცება;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ მოიცავს დავალების შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად საკმარის ინფორმაციას.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჴ[34]) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი ყოფილი კოლექტიური განსახლების ობიექტებიდან გრძელვადიანად გაასახლოს არანაკლებ 550 დევნილი ოჯახი;

2023 წელს 4 ე. წ. ნგრევადი და 17 სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის მნიშვნელობის ობიექტი დაიხურა, ჯამში ასეთ ობიექტებში მცხოვრები 259 ოჯახის განსახლების თაობაზე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წელს სამინისტრომ დაიწყო 7000-მდე საცხოვრებელი ბინის მშენებლობა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჰ[35]) შეიმუშაოს გამოთავისუფლებული ე. წ. ნგრევადი ობიექტების დახურვის წესი, რომლითაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს – დევნილებს შეეზღუდებათ ასეთი საშიში გარემოს ხელმისაწვდომობა;

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა გამოთავისუფლებული ე. წ. ნგრევადი ობიექტების დახურვის წესი.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[36]) შეისწავლოს „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანების №1 დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტიდან ჩანაწერის „ან უარი განაცხადეს ამ წესით გათვალისწინებული კენჭისყრისას ან მის შემდგომ, შესაბამისი საორიენტაციო სტანდარტის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე“ ამოღებისა და შესაბამისი პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში სათანადო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხი;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანების №1 დანართის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტიდან და შესაბამისი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტებიდან ამოღებული იქნეს ჩანაწერი - „ან უარი განაცხადეს ამ წესით გათვალისწინებული კენჭისყრისას ან მის შემდგომ, შესაბამისი საორიენტაციო სტანდარტის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე“.*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალება მხოლოდ მითითებული ცვლილებების საჭიროების მიზანშეწონილობის შესწავლას მოიცავს.

<u>რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[37]) საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული გეოლოგიური დასკვნების გაანალიზების შედეგად გამოავლინოს მაღალი რისკის პირობებში მცხოვრები ოჯახები და განსახლებისთვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 40% მათ განსახლებას მოახმაროს;

2023 წლის განმავლობაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული გეოლოგიური დასკვნების გაანალიზების შედეგად გამოვლენილი მაღალი რისკის პირობებში მცხოვრები ოჯახების განსახლებას მოხმარდა განსახლებისთვის

გამოყოფილი თანხების 40%-ზე მეტი. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წელს განსახლებული 286 ეკომიგრანტი ოჯახიდან, 106 ოჯახი გეოლოგიურ დასკვნაში არსებული გარემოების გათვალისწინებით იქნა განსახლებული.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ჰ[38]) დაასრულოს 2004–2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემის პროცესი;

სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ 2023 წლის განმავლობაში 2004–2012 წლებში განსახლებულ ეკომიგრანტთა 62 ოჯახს დაურეგისტრირდა საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში. თუმცა, ჯერ კიდევ არ დასრულებულა 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჰ[39]) შეისწავლოს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი“ და, შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას წარუდგინოს წინადადებები მის დასახვეწად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში გაცემული იყო საქართველოს მთავრობის მიმართ. აღნიშნული რეკომენდაცია ითვალისწინებდა კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესში ცვლილებას მთავრობის მიერ, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული აქტის მიმღებ ორგანოს. სამწუხაროდ, პარლამენტმა ადრესატის ცვლილებით ნაწილობრივ გაიზიარა რეკომენდაცია, რადგან სამინისტროს მხოლოდ პროექტის წარდგენის უფლებამოსილება აქვს.

<u>რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ</u>

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობს დავალებაში მითითებული აქტის შესწავლა და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი. თუმცა, ამ ეტაპზე მისი დახვეწის მიზნით მთავრობისთვის წინადადებები წარდგენილი არ არის.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ჰ[40]) შეიმუშაოს რეკომენდაციები უფასო სასადილოებით მომსახურების მინიმალური სტანდარტის დასადგენად, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ამ მომსახურების მართვასთან, მენიუს კალორაჟთან, კვების ხარისხთან, უსაფრთხოებასთან, სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან, კვების ბლოკების კეთილმოწყობა-აღჭურვასა და ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები;

დავალების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, უწყების მიერ არ გადადგმულა არსებითი ნაბიჯი.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[41]) სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად ჩაატაროს კვლევა და საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ არის გათვალისწინებული უსახლკარო პირთა ინტერესები;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სახელმწიფო საბინაო სტრატეგია, რომელიც ყველა უსახლკარო ჯგუფის ინტერესებს გაითვალისწინებს;*

სამწუხაროდ, დავალებაში არ არის მითითებული საბინაო სტრატეგიის შექმნის მიზანი, რითაც დაიკარგა რეკომენდაციის სულისკვეთება.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

ჰ[42]) შეიმუშაოს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტები;

საანგარიშო პერიოდში სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტის შესახებ დოკუმენტი არ დამტკიცებულა მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გასულ წლებში უწყებამ მოამზადა საცხოვრისის კონცეპტუალური ჩარჩო, საანგარიშო პერიოდში მისი იმპლემენტაციის მიზნით დამატებითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[43]) ჩაატაროს კვლევა და წარმოადგინოს გეგმა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა მიერ პროფესიონალი მხარდამჭერების მომსახურების მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად;

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *შეიქმნას მხარდამჭერ პირთა სახელმწიფო სერვისი, რომელიც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის უზრუნველყოფს პროფესიონალი მხარდამჭერების მომსახურების მიღების შესაძლებლობას;*

აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო მთავრობის მიმართ, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა აღნიშნული სერვისი. დავალება კი რეკომენდაციაში მითითებული საკითხის შესწავლასა და მთავრობისთვის წარდგენას მოიცავს, რაც მისი შესრულების წინარე პირობაა.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

უწყების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არ არის მითითებული საანგარიშო პერიოდში ჩატარდა თუ არა დავალების შესრულების მიზნით კვლევა. აღნიშნული იმეორებს გასულ წელს პარლამენტისთვის წარდგენილ ინფორმაციას.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ[44]) საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით შეიმუშაოს ახალი დასაქმების პროგრამები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად.

2023 წლის განმავლობაში არ შექმნილა ახალი დასაქმების პროგრამები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

11.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	6
ნაწილობრივ შესრულდა	13
არ შესრულდა	11
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	2
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	1
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ ფასდება	2
დუბლირებული დავალება	1
ჯამი	36

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით:



11.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის მოამზადოს ერთიანი ოპერაციული პროცედურების სახელმძღვანელო წესები ბავშვთა ქორწინების ფაქტების გამოვლენის, მათზე ეფექტიანი რეაგირებისა და გადამისამართების (რეფერირების) შესახებ;

სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილია, რომ სამინისტროში მიმდინარეობს რეფერირების დოკუმენტის შექმნის მიზნით მუშაობა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ბ) სისტემატურად გადაამზადოს სკოლების ადმინისტრაციის თანამშრომლები (მათ შორის, სკოლების დირექტორები და მასწავლებლები) ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხში, აგრეთვე რეფერირების პროცედურებსა და განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებთან დაკავშირებით;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელთა გადამზადება დავალებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით დანერგოს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამები და მათში ჩართოს ადრეული ინკლუზიური განათლების კომპონენტები;

2023 წლის პერიოდში მიმდინარეობდა ინკლუზიური სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამების დანერგვა. ამ პროცესში, 3-მა სახელმწიფო უნივერსიტეტმა უკვე მოიპოვა სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაცია. ხოლო 2 მოლოდინის რეჟიმშია.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

დ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს საბავშვო ბაღის მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების გამოვლენასა და სკოლამდელი განათლების სისტემაში ჩართვაში, და უზრუნველყოს ამ დოკუმენტების მუნიციპალიტეტებისთვის მიწოდება;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შემუშავებულია ადგილობრივი საჭიროების შესაბამისი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიები. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებენ მუნიციპალიტეტის მიერ საბავშვო ბაღის მიღმა

დარჩენილი სოციალურად დაუცველი და შშმ ბავშვების მოძიებისა და სკოლამდელ განათლებაში ჩართვის მხარდაჭერის მექანიზმებს.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ე) ინფრასტრუქტურულ ჭრილში პრიორიტეტი მიანიჭოს არსებული სკოლების მისაწვდომობას (პანდუსების, ლიფტების, ადაპტირებული სანიტარიული კვანძებისა და ტაქტილური ბილიკების მოწყობას) და შეძლებისდაგვარად სწრაფად დაგეგმოს საჭირო სამუშაოები, მათ შორის, გამოაცხადოს შესაბამისი ტენდერები;

სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ დავალების შესრულების მიზნით არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას. თუმცა, 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, კიდევ 200 სკოლაში დასასრულებელი ან განსახორციელებელია მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო პროცედურები.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ვ) აამაღლოს სკოლის პერსონალისა და მშობლების ცნობიერება ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაზე, შშმ ბავშვების მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებზე, სწორ კომუნიკაციაზე, სწავლა-სწავლების პროცესში გონივრული მისადაგების ზომებზე, რთული ქცევის მართვის ტექნიკისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენისთვის/შეფასებისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებზე;
უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად წლის განმავლობაში დავალების შესრულების მიზნით არაერთი აქტივობა განხორციელდა.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ზ) სკოლებს მისცეს მითითება, მშობლებს მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია საგანმანათლებლო საჭიროებების უგულებელყოფის შემთხვევებისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების/რეფერირების ღონისძიებების შესახებ; არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გააძლიეროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან თანამშრომლობის მექანიზმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა დავალებაში დასახელებული მითითების მიწოდება სკოლებისთვის.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

თ) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთან – პროფესიული უნარების სააგენტოსთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას როგორც რეგიონულ, ისე სექტორულ ჭრილში;

სახალხო დამცველი მიესალმება 2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირთათვის ახალი კოლეჯების გახსნითა თუ სხვადასხვა მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებით, მათთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდას და მოუწოდებს უწყებას უახლოეს პერიოდში დაასრულოს აღნიშნული საქმიანობა, რათა მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ი) განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები არაფორმალური განათლების აღიარების გამარტივების ხელშესაწყობად, იმ შშმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომლებიც ზოგადი განათლების არქონის გამო ვერ რეგისტრირდებიან პროფესიულ პროგრამებზე;

აღნიშნული მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, კონკრეტული აქტივობები არ განხორციელებულა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

კ) უზრუნველყოს შშმ სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი და მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების შეთავაზება, ინოვაციური სწავლების მხარდაჭერა და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საჭირო უნარ-ჩვევების უწყვეტ რეჟიმში განვითარება;

სახალხო დამცველი მიესალმება არსებული პროფესიული პროგრამების სრულად მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის ერთიან წესში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №42/ნ ბრძანებაში შეტანილ ცვლილებებს, რომლის შესაბამისად დაწესებულება აღარ არის უფლებამოსილი, რომ პარტნიორ კომპანიასთან შეთანხმებით, დუალურ პროგრამებზე არ გამოაცხადოს სსსმ პირთა მიღება და შედეგად ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პირთა მიღება გამოცხადდება, მათი განხორციელების ფორმის მიუხედავად. 2023 წლის განმავლობაში, არ განხორციელებულა შშმ სტუდენტებისთვის საინტერესო / მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების გამოვლენისთვის კვლევა და ამის საფუძველზე რაიმე ახალი პროგრამების დამატება,

რაც საფუძველს მისცემდა შშმ სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი და მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების შეთავაზებას, ინოვაციური სწავლების მხარდაჭერასა და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საჭირო უნარ-ჩვევების უწყვეტ რეჟიმში განვითარებას.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

ლ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და უნივერსიტეტების ჩართულობით ხელი შეუწყოს საუნივერსიტეტო დონეზე ინკლუზიური განათლების გაძლიერებას, შესაბამისი პროფილური/მეთოდური სასწავლო პროგრამების დანერგვას და უმაღლესი განათლების საფეხურზე შშმ სტუდენტთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას (დამხმარე ტექნოლოგიების დანერგვითა და მისაწვდომობის ყველა ასპექტის გათვალისწინებით);

სახალხო დამცველი მიესალმება 2023 წელს უწყების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილებების პროექტის შემუშავებას. ცვლილებების პროექტის მიხედვით, უმაღლესი განათლების ავტორიზაციის ერთ-ერთი ინდიკატორი/სტანდარტი იქნება ინსტიტუციაში ისეთი მექანიზმის არსებობა, რომლის მიზანიცაა ინკლუზიური გარემოს დასამკვიდრებლად ცნობიერების ამაღლება საუნივერსიტეტო საზოგადოებაში.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ უმაღლესი სასწავლებლების ინფრასტრუქტურა, საუნივერსიტეტო სივრცეები, ვებგვერდები, სასწავლო რესურსები და ელექტრონული სწავლების პორტალები არ არის სრულყოფილად მისაწვდომი ყველა სახის შეზღუდვის მქონე სტუდენტისთვის. ამასთანავე, ინკლუზიური განათლების პროცესი არ არის წინასწარ დაგეგმილი, კოორდინირებული და საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება რეაქტიულ ხასიათს ატარებს

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

მ) მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლის მიტოვების პრევენციის პოლიტიკის განსახორციელებლად დახვეწოს მის მიერ წარმოებული სტატისტიკა სწავლის შეწყვეტის შესახებ და სისტემატიზებულად აღრიცხოს მოსწავლის სტატუსის შეჩერების რეალური მიზეზები, მათ შორის, სწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და სკოლის ზედიზედ გაცდენის ზღვრული რაოდენობის საფუძველზე შეწყვეტის შემთხვევებში;

სახალხო დამცველი მიესალმება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის გადაწყვეტილებას, რომლითაც დაიხვეწა სწავლის მიტოვების არსებული ინდიკატორები, რაც, სამინისტროს ცნობით, იძლევა მოსწავლის სტატუსის შეჩერების რეალური მიზეზების დადგენის შესაძლებლობას. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციის გაცვლისთვის საჭირო მექანიზმების შესამუშავებლად, ქვეყანაში ფაქტობრივად მყოფ სტატუს შეჩერებულ მოსწავლეთა ნუსხის დასაზუსტებლად. მიუხედავად ამისა, სტატისტიკა კვლავ მნიშვნელოვან დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევების ისეთი საფუძვლები, როგორიცაა „მშობლის განცხადება“, „გაცდენების ზღვრული რაოდენობა“

ან „სხვა“, ბავშვის საგანმანათლებლო პროცესიდან ჩამოშორების თუ დროებით ჩამოშორების მიზეზების თაობაზე რეალურ ინფორმაციას არ იძლევა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

ნ) სიღრმისეულად შეაფასოს მოსწავლის სტატუსის შეჩერების მაჩვენებლის ზრდის მიზეზები და როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს სამომავლო სტრატეგია მოსწავლეთა მიერ სწავლის შეწყვეტის რისკების შესამცირებლად;

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში არ დასრულებულა მოსწავლის სტატუსის შეჩერების სტატისტიკის დახვეწის მიზნით საქმიანობა, რაც დავალების შესრულების დაწყებისთვის წინარე ეტაპია. შესაბამისად, არ არის დაწყებული სტატისტიკის ანალიზი და არ შემუშავებულა სამომავლო სტრატეგია მოსწავლეთა მიერ სწავლის შეწყვეტის რისკების შესამცირებლად.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ო) გააგრძელოს ბავშვთა მიმართ ძალადობის, ბულინგის, სექსუალური ძალადობის, დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე და რეფერირების ვალდებულებასთან დაკავშირებით საჯარო სკოლების მასწავლებელთა გადამზადება, აგრეთვე მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, ამასთანავე, დანერგოს ამ ღონისძიებების ზეგავლენის შეფასების მექანიზმი;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დავალებაში მითითებულ საკითხებზე მასწავლებელთა გადამზადება, ხოლო მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

პ) გააგრძელოს ბავშვთა მიმართ ძალადობის, ბულინგის, სექსუალური ძალადობის, დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე საინფორმაციო შეხვედრების გამართვა არასრულწლოვანთა მშობლებთან და გააფართოოს მათი არეალი, შექმნას ახალი ტრენინგმოდულები და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო მასალები;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დავალებაში მითითებულ საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრების გამართვა არასრულწლოვანთა მშობლებთან. აგრეთვე, აპარატს მოეწოდა სამინისტროს მიერ შექმნილი ახალი ტრენინგ-მოდულები. თუმცა, უცნობია აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით შეიქმნა თუ არა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო მასალები.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

ჟ) იმ სკოლებში, სადაც სწავლება ეროვნული უმცირესობების ენებზე მიმდინარეობს, დანერგოს ბილინგვური სწავლების მოდელი, შეიმუშაოს ბილინგვური სწავლებისთვის საჭირო რესურსები და მოამზადოს/გადაამზადოს ორენოვანი მასწავლებლები;

მისასალმებელია, რომ 2023 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ სკოლების რიცხვი (41-დან 184-მდე), სადაც დანერგილია ბილინგვური სწავლება. თუმცა, საგულისხმოა, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ჯამში 295 არაქართულენოვანი სკოლა/სექტორია. ამასთანავე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედ ზოგადი განათლების დაწესებულებებში ჩატარებულმა შეხვედრებმა ბილინგვური განათლების დანერგვის პროცესში არაერთი გამოწვევა გამოავლინა. არაერთგვაროვანია სკოლების პრაქტიკა, რაც, მათ შორის, შესაბამისი კადრების დეფიციტით არის გამოწვეული.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

რ) მოქმედი წესის საფუძველზე გააგრძელოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოების ეროვნული უმცირესობების ენებზე გონივრულ ვადაში თარგმნა და გამოცემა და მათი სკოლებისთვის მიწოდება;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოების ეროვნული უმცირესობების ენებზე გონივრულ ვადაში თარგმნა და გამოცემა და მათი სკოლებისთვის მიწოდება.

შეფასება: შესრულდა

ს) განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები საქართველოს სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით წარმართვის უზრუნველსაყოფად;

საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა ქმედითი ღონისძიებები დავალების შესრულების მიზნით.

შეფასება: არ შესრულდა

ტ) უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, აგრეთვე მასწავლებელთა გადამზადება;

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ სამუშაო შეხვედრების განხორციელებას შესაბამისი ორგანიზაციებისა და თემის წარმომადგენლებთან დავალების შესრულების მიზნით. თუმცა, კვლავ არ არის გადაწყვეტილი მცირერიცხოვანი ენის სწავლის საკითხი. არ არის შემუშავებული სახელმძღვანელოები.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

უ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს როგორც მულტიკულტურული პროგრამების, ისე სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა დავალება, მოდიფიცირდა.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოებების საფუძვლით არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ფ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტთა და მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებს ქვეყნის შიგნით, როგორც მულტიკულტურული პროგრამების, ისე სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით;

სახალხო დამცველი მიესალმება საკვირაო სკოლების შეთავაზებას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეთათვის, თუმცა, გაცვლითი პროგრამების კუთხით საანგარიშო პერიოდში რაიმე ქმედება არ განხორციელებულა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ქ) ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში/სოფლებში, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ეროვნული *უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;*

დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით არ არის წარმოდგენილი სამინისტროს პროაქტიული როლი და მხოლოდ მუნიციპალიტეტების მიმართვის შეთხვევაში არის იგი

ვალდებული ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

აღსანიშნავია, რომ უწყებას დავალების შესრულების მიზნით შეეძლო პროაქტიულად მიემართა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტებისთვის და გამოეთხოვა მათგან ინფორმაცია სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭიროებების თაობაზე. პარლამენტისადმი წარდგენილ ანგარიშში, სამინისტრო გამოთქვამს მზაობას, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში/სოფლებში, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოთხოვნისა და მომართვის შემთხვევაში. აღნიშნული პასუხიდან იკვეთება, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან რაიმე მიმართვას სამინისტროსადმი ადგილი არ ჰქონია.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოებების საფუძვლით არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ღ) აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავებისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს ეროვნული უმცირესობების საჭიროებები უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *2023-2024 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ ბრძანებით გაუქმდეს ნორმატიული შეზღუდვა, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრიატის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო/სამაგისტრო/ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსება.*

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, დავალებისგან განსხვავებით, არის კონკრეტული და მოიცავს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას არსებული პროგრამების ცვლილების გზით. ხოლო პარლამენტმა არ გაიზიარა რეკომენდაციაში მითითებული მოდელის ცვლილების, ასევე, მასში შეზღუდვის გაუქმების საჭიროება. შესაბამისად, რეკომენდაციაში მითითებული არც ერთი ინდიკატორი არ გვაქვს სახეზე.

შეფასება: არსებითი ცვლილების საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

ყ) გააფართოოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მობილური ჯგუფების გეოგრაფიული არეალი მობილური ჯგუფებით ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ყველა მუნიციპალიტეტის უზრუნველყოფით;

სახალხო დამცველი მიესალმება სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გეოგრაფიული არეალის გაფართოებას ქართული ენის სწავლის მიზნით, მათ შორის დმანისის მუნიციპალიტეტში. თუმცა, საგულისხმოა, რომ 2023 წელს მობილური ჯგუფების საშუალებით სახელმწიფო ენის სწავლება არ ხორციელდებოდა თელავისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, მობილური ჯგუფები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მხოლოდ რამდენიმე სოფელში იყო მივლენილი.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

შ) ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა მუნიციპალიტეტში გაზარდოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის გეოგრაფიული არეალისა და ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი პროგრამების ფარგლებში გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა;

სახალხო დამცველი მიესალმება ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ქართული ენის კურსის ფარგლებში მასწავლებელთა გადამზადებას, თუმცა, სამწუხაროდ, 2023 წელს, წინა წლების მსგავსად, არ გადამზადებულან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

ჩ) გააძლიეროს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები, რათა მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უნივერსიტეტში) ჩარიცხვის შემთხვევაში სწავლის გასაგრძელებლად სათანადო პირობები ჰქონდეთ;

შემუშავდეს სტიპენდიის ან/და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა სტუდენტებისათვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რათა გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მათ შეძლონ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება

პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში არ იქნა გათვალისწინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის ან/და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

2023 წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი, რაც მხარს დაუჭერდა სპეციფიკურად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სტუდენტებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შემთხვევაში სწავლის გასაგრძელებლად სათანადო პირობების შექმნაში. ხოლო უწყების მიერ წარმოდგენილი ანგარიში ეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სტუდენტების ჩარიცხვის შემდგომ აკადემიურ სწავლების კომპონენტს და არა სათანადო პირობებს.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ც) პოლიტიკის დოკუმენტებში ასახოს ადამიანის უფლებათა სწავლების კომპონენტები;

საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით. უწყება არ იზიარებს დავალებას.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ძ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამოქმედო გეგმებში ფორმალური განათლების ყოველი საფეხურისთვის განსაზღვროს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხელშეწყობისკენ მიმართული ამოცანები/ღონისძიებები და შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც გაზომვას ექვემდებარება; უწყების პარლამენტისადმი წარდგენილ ანგარიშში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელ სამოქმედო გეგმაში შეიტანა საანგარიშო პერიოდში ცვლილება დავალების შესრულების მიზნით.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

წ) გადახედოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესს“ და მოკვლევის საფუძველზე შეიტანოს მასში შესაბამისი ცვლილება გრიფირების პროცედურების დასახვეწად/გასაუმჯობესებლად;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესში და განისაზღვროს შემდეგი: - გრიფმინიჭებული მასალის განახლების ინიციატივა წარდგენილი იყოს მხოლოდ წერილობითი ფორმით; - ყველა ინიციატივის დასაბუთებულობა შემოწმდეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელშიც მასწავლებელი, დარგის მეცნიერი, ქართული ენის ფილოლოგი, ფსიქოლოგი, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი და ადამიანის უფლებათა ექსპერტი შევლენ; - ცვლილებაზე სამინისტროს თანხმობა გაიცეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ექსპერტთა ჯგუფის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

დავალებაში არ არის მითითებული არსებითად მნიშვნელოვანი ნაწილები, როგორიც არის: გრიფმინიჭებული მასალის განახლების ინიციატივა წარდგენილი იყოს მხოლოდ წერილობითი ფორმით; - ყველა ინიციატივის დასაბუთებულობა შემოწმდეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელშიც მასწავლებელი, დარგის მეცნიერი, ქართული ენის ფილოლოგი, ფსიქოლოგი, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი და ადამიანის უფლებათა ექსპერტი შევლენ; - ცვლილებაზე სამინისტროს თანხმობა გაიცეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ექსპერტთა ჯგუფის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

ჭ) გადახედოს სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების არსებულ პროცედურას და გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოს ყველა ეტაპზე ადამიანის უფლებათა ექსპერტის ჩართულობა;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში, საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სააპელაციო კომისიის ერთერთ წევრად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის სრული უფლებამოსილებით, განისაზღვროს ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობის შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტი

პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, არ არის ადრესატი უწყებისთვის განსაზღვრული ადამიანის უფლებათა ექსპერტის მოწვევისას მისთვის სრული უფლებამოსილების მინიჭება.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

უწყების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, არ დასრულებულა სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების ანალიზის პროცედურა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ხ) უზრუნველყოს სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში საჩივრების განსახილველად შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილებების დასაბუთება, რაც გულისხმობს კომისიის მიერ სხდომაზე მოწვეულ პირთა პოზიციების გადაწყვეტილებაში აღწერას და მათზე დასკვნების დასაბუთებას და სხვა;

საანგარიშო პერიოდში შეფასებული რეცენზირების პროცესის ანალიზით დადგინდა, რომ სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებებს კვლავ დასაბუთების გარეშე იღებს. ამავდროულად, გადაწყვეტილებებში კვლავ არ აისახება სხდომაზე მოწვეულ პირთა პოზიციები.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჯ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან 1+4 სტაჟირების პროგრამის ეფექტიანად განსახორციელებლად;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *მკაფიოდ განსაზღვროს მიმღები დაწესებულებების მიმართ 1+4 სტაჟირების პროგრამის მოთხოვნები, ასევე, პროგრამის მონაწილეებისათვის სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები, დაინერგოს შეფასების ინსტრუმენტები და ახალგაზრდების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები*

პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, არ არის გათვალისწინებული ისეთი კომპონენტები, როგორიც არის პროგრამის მოთხოვნებისა და მოსალოდნელი შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა, შეფასების ინსტრუმენტებისა და ახალგაზრდების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დანერგვა.

<u>რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ</u>

სამინისტროს არ გადაუდგამს პროაქტიულად ნაბიჯი პროგრამის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ჰ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ერთიანი ოპერაციული პროცედურების სახელმძღვანელო წესები ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირებისთვის;

აღნიშნული დავალება გაცემულია ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით. შესაბამისად, დუბლირებულია და უკვე შეფასებულია.

შეფასება: დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

3[1]) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს დოკუმენტი 2024-2025 სასწავლო წლისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების, აგრეთვე ოსურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ოდენობის გაზრდის შესახებ;

2024-2025 სასწავლო წლისათვის მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა გაორმაგდა და შეადგინა 450 000 ლარი. თუმცა, უცნობია რამდენად წარედგინა მთავრობას ოსურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ოდენობის გაზრდის შესახებ დოკუმენტი, რომელიც 2024-2025 სასწავლო წლისთვის არ გაზრდილა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა.</u>

3[2]) ხელი შეუწყოს ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზაციას, კერძოდ, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებით და სხვა;

სახალხო დამცველი მიესალმება დავალების შესრულების მიზნით უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზაცია კვლავ პრობლემურია ეროვნულ უმცირესობებში.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

3[3]) საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საჯარო სამსახურის ბიუროსთან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად ახალი დასაქმების პროგრამების შემუშავების პროცესში.

2023 წლის განმავლობაში სამინისტროს არ გადაუდგამს პროაქტიული ნაბიჯები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის ხელშესაწყობად. ახალი დასაქმების პროგრამების შემუშავების მიზნით რაიმე თანამშრომლობა არ განხორციელებულა.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

12. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივ ხელისუფლებებთან თანამშრომლობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში/სოფლებში კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას და სასწავლო- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

უწყებას არ წარმოუდგენია ანგარიში აღნიშნული დავალების შესრულების თაობაზე.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

13. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

13.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ პარლამენტმა გასცა 3 დავალება, რომელთაგანაც ყველა შესრულდა.

13.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) დარგობრივ სამინისტროებთან ერთად განიხილოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის 2008 წლის ფაკულტატიური ოქმისა და სტრასბურგის 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებულის) 31-ე მუხლის რატიფიცირების მიზანშეწონილობის საკითხი;

საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, მიმდინარეობდა ჯანდაცვის სამინისტროსთან მოლაპარაკებები დავალებაში მითითებულ

ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. უწყებების კომუნიკაციის შედეგად გადაწყდა, რომ საკითხი თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, განხილულ იქნეს სოციალურ პარტნიორებთან: დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა შრომით და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ, სამმხრივი კომისიის წევრთათვის მნიშვნელოვან საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ბ) განაგრძოს მოლაპარაკებები ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციამ და მისმა საოკუპაციო რეჟიმებმა საოკუპაციო ხაზის მთელ პერიმეტრზე უკანონო შეზღუდვების მოხსნით და ე. წ. გადასასვლელების შეუფერხებელი მუშაობით დაიცვან მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება;

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ დავალების შესრულების მიზნით გადადგმულ არაერთ ნაბიჯს საანგარიშო წლის განმავლობაში.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

გ) განაგრძოს მოლაპარაკებები ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციამ დაუშვას საერთაშორისო დამკვირვებელთა სრული და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში არაერთი საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით მოლაპარაკებების წარმოებას დავალების შესრულების მიზნით.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

14. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

14.1. ზოგადი შეფასება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	1
სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას	1
დავალება არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის რეკომენდაციიდან	1

14.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) შეისწავლოს მოპოვებითი საქმიანობის ფარგლებში არსებული გამოწვევები, დაგეგმოს და გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ სფეროში გარემოსდაცვითი ინტერესების რეალიზაციის გასაუმჯობესებლად და ეფექტიანი საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად;

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ საკითხის შესწავლის შედეგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რომლითაც განხორციელდა დარღვევათა დიფერენცირება. ასევე, გაიზარდა სანქციები.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოიყენოს მის ხელთ არსებული შესაძლებლობები ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში დაზარალებული მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენისა და პასუხისმგებელი პირების მიერ მისი ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით მედიაციის ხელშეწყობისთვის;

დავალება არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის რეკომენდაციებიდან.

<u>შეფასება: დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააგრძელოს კომპლექსური ნაბიჯების დაგეგმვა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის მოსახლეობის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციისთვის, მათ შორის, განსაზღვროს პასუხისმგებელი უწყებები და ვადები შესაბამისი უწყებათაშორისი კომისიის დასკვნაში აღნიშნული მონიტორინგის განხორციელებისა და სოფლის მცხოვრებთა გრძელვადიანი განსახლების უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *დაგეგმოს კომპლექსური ნაბიჯები ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის მცხოვრებლების უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციისთვის, მათ შორის, უწყებათაშორისი კომისიის დასკვნაში ასახული მონიტორინგის, გრძელვადიანი განსახლების განსახორციელებლად განისაზღვროს პასუხისმგებელი უწყებები და ვადები; ამ საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდოს ადგილობრივ მოსახლეობას.*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, დავალებაში არ არის გათვალისწინებული საკითხის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება. ამასთანავე, აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო მთავრობის მიმართ, რათა, როგორც სხვადასხვა უწყებების მაკოორდინირებელ ორგანოს, წამყვანი როლი შეესრულებინა მისი შესრულების პროცესში, ხოლო პარლამენტმა დავალება მხოლოდ ერთ - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ გასცა.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

პარლამენტმა უწყებას დაავალა გადაედგა ნაბიჯები უწყებათაშორისი კომისიის დასკვნაში აღნიშნული მონიტორინგის განხორციელების და განსახლების უზრუნველსაყოფად. უწყების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, განსახლება არ არის მისი კომპეტენცია, თუმცა, სამწუხაროდ, ანგარიშში დამატებით არ არის განხილული თუ რა ნაბიჯები გადაიდგა მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით. ხაზგასასმელია, რომ სამინისტროს მიერვე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომისიის დასკვნა აისახა 2023 წლის 23 იანვარის N158 განკარგულებაში.[5] ამავდროულად, სახალხო დამცველისთვის უცნობია მითითებული განკარგულება, შესაბამისად, ამ ეტაპისთვის შეუძლებელია შეფასდეს უწყების მიერ განკარგულების შესრულების მიზნით განხორციელებული საქმიანობა.

შეფასება: <u>სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას</u>

15. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

15.1. ზოგადი შეფასება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ გაცემული ორივე დავალება შესრულდა.

15.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელოს და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ სახელმძღვანელოს განახლება და პრაქტიკაში დანერგვა;

[5] ,,2022 წლის მარტში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში განვითარებული გეოდინამიკური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენისა და სტიქიის არეალში მოქცეული საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების იდენტიფიცირების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის ინფორმაციის თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N158 განკარგულება

სახალხო დამცველი მიესალმება გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ სახელმძღვანელოს დამტკიცებას და მისი პრაქტიკაში დანერგვის დაწყებას.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ბ) შეისწავლოს მოპოვებითი საქმიანობის ფარგლებში არსებული გამოწვევები, დაგეგმოს და გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ სფეროში გარემოსდაცვითი ინტერესების რეალიზაციის გასაუმჯობესებლად და ეფექტიანი საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად.

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ საკითხის შესწავლის შედეგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რომლითაც განხორციელდა დარღვევათა დიფერენცირება. ასევე, გაიზარდა სანქციები.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

16. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

16.1. ზოგადი შეფასება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	1
ნაწილობრივ შესრულდა	2
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას	1
ჯამი	4

16.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) შეისწავლოს და შესწავლის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების მიხედვით გადახედოს 1+4 სტაჟირების პროგრამის ეფექტიანად განხორციელების გაუმჯობესებულ ინსტრუმენტებს, აგრეთვე დაგეგმოს ამ პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შესრულებისა

და მისი ეფექტიანობის გაზრდის გზები. შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის მოთხოვნები და სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები პროგრამის მონაწილეებისთვის, დაინერგოს შეფასების უფრო ცხადი ინსტრუმენტები და ახალგაზრდების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები და სხვა;

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის საშემოდგომო ნაკადის სტაჟირების პრეტენდენტებისათვის, სტაჟირების დაწყებამდე, პირველად დაიგეგმა და განახორციელდება სპეციალურ პროგრამა/ტრენინგი მათი ცოდნისა და უნარების გაღრმავების კუთხით. ამასთანავე, დაგეგმილია გარკვეული ცვლილებები, მათ შორის, ერთ-ერთი მიმართულია შეფასების დადგენილი კრიტერიუმების სრულყოფისკენ. დამატებით, იგეგმება კონფერენციების ორგანიზება, სადაც გაანალიზდება პროგრამის მიმდინარეობა.
<u>შეფასება: შესრულდა</u>

ბ) ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტთან ეროვნული უმცირესობებისთვის საკონსულტაციო მექანიზმების საქართველოს პარლამენტში შექმნის საკითხზე;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *აღმასრულებელი ხელისუფლებების დონეზე, შეიქმნას ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმები უმცირესობებისთვის;*

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის ნებას მის ფარგლებში შეიქმნას საკონსულტაციო მექანიზმი. თუმცა, პარლამენტმა უწყებას დაავალა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მასთან თანამშრომლობა, მაშინ როდესაც პარლამენტს დამოუკიდებლად შეუძლია ამ ტიპის მექანიზმის შექმნა და ამისთვის უწყების თანამშრომლობა არ არის წინაპირობა.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას

გ) ხელი შეუწყოს ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზაციას, მათ შორის, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებით;

სახალხო დამცველი მიესალმება დავალების შესრულების მიზნით უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა საანგარიშო პერიოდში ეროვნული უმცირესობებისთვის არ შემუშავებულა სახელმწიფო ენის სწავლების მიზნით ახალი მიზნობრივი პროგრამა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

დ) გააგრძელოს მუშაობა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021–2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინტერეთნიკური და ინტერკულტურული დიალოგის გაძლიერებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განსახორციელებლად და უზრუნველყოს მათი ეფექტიანად განხორციელება თემთა შორის უკონფლიქტო ურთიერთობების განვითარებისთვის.

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *შემუშავდეს გრძელვადიანი გეგმა კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებში ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად.*

პარლამენტმა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება მხოლოდ შემოფარგლა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021–2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში. ამასთანავე, დავალებაში არ არის გათვალისწინებული გრძელვადიანი გეგმის შემუშავება.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ.

უწყების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ინტერკულტურული დიალოგის გაძლიერებაზე ორიენტირებული სემინარები/ტრენინგები, დისკუსიები და კულტურული ღონისძიებები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობით, რომლებშიც ჩაერთო 5000-ზე მეტი ბენეფიციარი. მიუხედავად ამისა, უწყების მიერ არ ჩატარებულა შესაბამისი კვლევა კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებთან მიმართებით, რომლის შედეგადაც უნდა გამოკვეთილიყო თითოეულ მუნიციპალიტეტში ინდივიდუალურად თუ სად არის კონფლიქტის კერა და რა საჭიროებებია მისი აღმოფხვრისთვის. შესაბამისად, არ შესრულდა პარლამენტის დავალების მეორე ნაწილი, რომელიც თემთა შორის უკონფლიქტო ურთიერთობების განვითარებისთვის ინტერეთნიკური დიალოგის გაძლიერებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას მიემართებოდა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

17. საზოგადოებრივი მაუწყებელი

17.1. ზოგადი შეფასება

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ გაიცა 2 დავალება, რომელთაგანაც 1 შესრულდა, ხოლო 1 ნაწილობრივ შეასრულდა.

17.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) ინტენსიურად გააგრძელოს ეროვნული უმცირესობების ენებზე მთავარი საინფორმაციო და ანალიტიკური სატელევიზიო გამოშვებების პოპულარიზაცია აუდიტორიის გასაზრდელად;

უწყების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის განმავლობაში გაგრძელდა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში ეროვნული უმცირესობების ენებზე მთავარი საინფორმაციო და ანალიტიკური სატელევიზიო გამოშვებების პოპულარიზაციის მიზნით შეხვედრები.

შეფასება: შესრულდა

ბ) ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული მედიაპროდუქტების (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული მედიაპროდუქტების) ხელმისაწვდომობას ტრანსლაციის ყველა არსებული საშუალებით, აგრეთვე უზრუნველყოს ამ მედიაპროდუქტების პოპულარიზაცია.

სახალხო დამცველი მისალმება უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს დავალების შესრულების მიზნით. თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გამოვლინდა, რომ მოსახლეობის ნაწილისთვის ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ ან მთლიანად უცნობია ან სრულად არ არის ცნობილი

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

18. სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო

18.1. ზოგადი შეფასება

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ გაიცა 2 დავალება, რომელთაგანაც 1 შესრულდა, ხოლო 1 დავალება რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით არ ექვემდებარება შეფასებას.

18.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) წარმოადგინოს წინადადებები პირებთან შრომითი ურთიერთობის აღდგენასთან ერთად მათთვის იძულებითი განაცდური თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნის აღსრულების დაუყოვნებლივ დაწყების მიზნით;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირების სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის თანხის ამოღების უზრუნველსაყოფად, კრედიტორთა მოთხოვნისთანავე დაიწყოს და აწარმოოს იძულებითი სააღსრულებო პროცესი.*

დავალება, რეკომენდაციისგან განსხვავებით ითვალისწინებს არა პრაქტიკის, არამედ კანონმდებლობის ცვლილებების მიზნით საქმიანობას, რამაც არსებითად შეცვალა რეკომენდაციის სულისკვეთება.

რეკომენდაციის არსებითი ცვლილებების საფუძვლით, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.

ბ) წარმოადგინოს წინადადებები უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის (გამოსახლების) საქმეთა ნაკადის სამართლიანად მართვის მიზნით მესაკუთრეთა უფლებების დაკმაყოფილების გაუმართლებელი დაყოვნების თავიდან ასაცილებლად.

უწყებამ წარადგინა პარლამენტში წინადადება კანონმდებლობაში ცვლილებების ინიცირების მიზნით. კონკრეტულად უწყების პოზიციით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ან/და აღსრულების კოდექსში უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის დათქმა: „სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის შესახებ სააღსრულებო საქმეების აღსრულების რიგითობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მხარეთა უფლებრივი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, მესაკუთრის უფლების აღდგენის გაუმართლებელი დაყოვნების გამორიცხვით.“.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

19. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

19.1. ზოგადი შეფასება

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმართ გაცემული საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	1
ნაწილობრივ შესრულდა	1
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა	1
ჯამი	3

19.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) დაიწყოს მუშაობა პაციენტის დაზიანების დოკუმენტირების ისეთი ფორმის შემუშავებაზე, რომელსაც შესაბამისი სამედიცინო პერსონალი შეავსებს, თუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ თავად პაციენტი განაცხადებს ან სამედიცინო პერსონალს წარმოეშობა ეჭვი მის მიმართ ასეთი მოპყრობის შესახებ; იმავდროულად, განსაზღვროს ექიმის მიერ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების წესი;

რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დავალება, 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

> *შემუშავდეს და დამტკიცდეს დაზიანების დოკუმენტირების ფორმა, რომელსაც შეავსებს საამისოდ გამოყოფილი სამედიცინო პერსონალი თუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ თავად პაციენტი განაცხადებს ან სამედიცინო პერსონალს წარმოეშობა ეჭვი ასეთი მოპყრობის შესახებ; ასევე, განისაზღვროს ექიმის მიერ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების წესი.*

სახალხო დამცველის რეკომენდაცია ითვალისწინებდა დოკუმენტის ფორმის შემუშავებასა და დამტკიცებას, ხოლო დავალება მხოლოდ მუშაობის დაწყებას მიუთითებს უწყებას.

რეკომენდაცია გაზიარებულია ნაწილობრივ

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ჟურნალის წარმოება, რომელშიც, იმ შემთხვევაში თუ თავად გამოსაკვლევი პირი განაცხადებს მის მიმართ წამებისა და არასათანადო მოპყრობის

შესახებ, ან სამედიცინო პერსონალს გაუჩნდება ეჭვი ასეთი მოპყრობის თაობაზე, შეიტანება შესაბამისი ჩანაწერები. აღნიშნული თაობაზე ეცნობება საგამოძიებო ორგანოს.

<u>შეფასება: შესრულდა</u>

ბ) ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში გადაყვანილი გამოსაკვლევი პირის სომატური მკურნალობის უწყვეტობის საკითხის უკეთ დარეგულირების მიზნით ითანამშრომლოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტთან ამ პირის თანხმობით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის გაცვლის უზრუნველსაყოფად;

უწყების მიერ მოწოდებული პასუხი ზოგადია არ შეიცავს კონკრეტიკას საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის თაობაზე.

<u>შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

გ) ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ბიუჯეტის გაზრდით უზრუნველყოს დეპარტამენტის თანამშრომელთა ხელფასებისა და რაოდენობის გაზრდა, აგრეთვე გამოყოს ფინანსური რესურსი მათ მიერ უწყვეტი განათლების მიღებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველი მიესალმება თანამშრომელთა რაოდენობისა და ხელფასების ზრდას, თუმცა საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები უწყვეტი განათლების კუთხით.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

20. სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო

საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით შეიმუშაოს ახალი დასაქმების პროგრამები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად.

2023 წლის განმავლობაში არ შექმნილა ახალი დასაქმების პროგრამები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად.

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

21. თანამდებობის პირები

თანამდებობის პირებმა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს დაიცვან უფლებადამცველების საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტები, მათ შორის, თავი შეიკავონ უფლებადამცველების დისკრედიტაციის კამპანიაში ჩართვისგან და ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას, ამასთანავე, უზრუნველყონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების არსებითი ჩართულობა და თავიდან აიცილონ შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა იმის მიხედვით, თუ რამდენად მიუღებელია მათ მიერ გამოხატული პოზიციები.

აღნიშნული ტიპის დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.

<u>შეფასება: ობიექტური გარემოების საფუძვლით არ ექვემდებარება შეფასებას</u>

22. ფსიქიატრიული დაწესებულებები

22.1. ზოგადი შეფასება

ფსიქიატრიული დაწესებულებების მიმართ გაცემული 2 დავალებიდან 1 ნაწილობრივ, ხოლო 1 არ შესრულდა.

22.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შეფასება

ა) კერძოდ, შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა“, შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრმა“ და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა“ თითოეული პაციენტი უზრუნველყონ სტანდარტით დადგენილი 8 კვ. მ საცხოვრებელი ფართობით;

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდშიც, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტები არ იყვნენ უზრუნველყოფილი სტანდარტით დადგენილი 8 კვ.მ. ფართით

<u>შეფასება: არ შესრულდა</u>

ბ) უზრუნველყონ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში (თავი „უსაფრთხო და თერაპიული გარემო“) აღწერილი პრობლემების გადაჭრა და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ საქართველოს სახალხო დამცველს.

სახალხო დამცველი მიესალმება „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილების განახლებას, სადაც ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის გაწერილია დამატებითი მოთხოვნები უსაფრთხო და თერაპიული გარემოების უზრუნველსაყოფად. თუმცა ეს მოთხოვნები ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო ხდება 2027 წლის 1-ლი იანვრიდან. აგრეთვე, დანანებით აღსანიშნავია, რომ 2023 წელს შენარჩუნდა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გადატვირთულობის, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და თერაპიული აქტივობების პრობლემა.

<u>შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა</u>

შეჯამება

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზდა პარლამენტის მიერ გაცემული 258 დავალება.[6] აღნიშნულთაგან 20 დავალება არ ექვემდებარება შეფასებას პარლამენტის მიერ მისი შინაარსის არსებითი ცვლილების გამო. ასევე, სახელმწიფო უწყებების მიერ, საქართველოს პარლამენტისა და სახალხო დამცველის აპარატისთვის რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო შეუძლებელია 24 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება. დამატებით, 1 დავალება არ ფასდება დუბლირების საფუძვლით.

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დავალებების დაახლოებით 19% შესრულებულია, ხოლო ნაწილობრივ შესრულდა 24 % და შეუსრულებლად ფასდება 34%.

დავალებების შესრულების მდგომარეობა დეტალურად რაოდენობრივად შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	49	19%
ნაწილობრივ შესრულდა	61	24%
არ შესრულდა	89	34%
უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შეუძლებელია შეფასდეს	12	5%
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	20	8%
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა	24	9%
არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან / დუბლირებული დავალება / დაკარგა რელევანტურობა	3	1%
ჯამი	258	

[6] პარლამენტმა დადგენილებით 277 დავალება გასცა, რაც მოიცავს, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალური ორგანოების მიმართ გაცემულ დავალებებს - ჯამში 19 დავალება. წინამდებარე ანგარიშში არ შეფასებულა აღნიშნული 19 დავალების შესრულების მდგომარეობა.

2019-2023 წლის დადგენილებებში ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობა



რაც შეეხება სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელს, პარლამენტმა დადგენილებაში გაიზიარა სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის 238 რეკომენდაცია (85%). დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელი 2023 წლის დადგენილებაში გაზრდილია წინა წლის დადგენილებასთან შედარებით (2022 წლის დადგენილებით პარლამენტმა სახალხო დამცველის რეკომენდაციების 82% გაიზიარა).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა, სახალხო დამცველის რეკომენდაციების უმრავლესობა დადგენილებაში ასახა და იგი სახელმწიფო უწყებებისთვის შესასრულებლად სავალდებულო გახადა, აღნიშნული დავალებების შესრულების მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გასულ წელთან შედარებით არ შეცვლილა იმ დავალებების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც სახალხო დამცველის შეფასებით სრულად და ნაწილობრივ არის შესრულებული. ხოლო დავალებების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც არ შესრულდა უწყებების მიერ, მცირედით, კერძოდ, 2%-ით არის შემცირებული.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს სახელმწიფო უწყებებს გააცნობიერონ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მნიშვნელობა, ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს გააძლიეროს საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული მის ხელთ არსებული

ყველა მაკონტროლებელი მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა.

დანართი

რეკომენდაციები, რომლებიც პარლამენტმა დადგენილებაში არ ასახა			
N	**ადრესატი უწყება**	**ანგარიშის თავი**	**რეკომენდაცია**
1.	საქართველოს მთავრობა	გარემოს დაცვის უფლება	უზრუნველყოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის საკითხზე შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის დასკვნის ფართო საზოგადოებრივი განხილვა და დაინტერესებული მოქალაქეების კითხვებს გაეცეს ამომწურავი პასუხები;
2.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება	2023 წელს ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი
3.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება	სამხრე კამერებით აღიჭურვოს სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე ყველა სამართალდამცავი
4.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა	პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, დაამუშაოს საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ სტატისტიკური მონაცემები და მიუთითოს ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი.
5.	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება	ნორმაშემოქმედებითი და აღმასრულებელი საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპების დაცვით

6.	საქართველოს მთავრობა	რწმენისა და რელიგიის თავისუფლება	აღრიცხოს საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა
7.	საქართველოს მთავრობა	რწმენისა და რელიგიის თავისუფლება	შევიდეს ცვლილება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებაში და ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან ერთად, სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მიეცეთ ზიანის შესაბამისი კომპენსაცია;
8.	საქართველოს მთავრობა	რწმენისა და რელიგიის თავისუფლება	სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციით, შემუშავდეს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების საგადასახადო სისტემა, რომელიც თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფოს ნეიტრალობის მოთხოვნებს უპასუხებს;
9.	საქართველოს მთავრობა	რწმენისა და რელიგიის თავისუფლება	სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების გზით, იმსჯელოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობისა და მანდატის ცვლილებების საჭიროებაზე.
10.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	რწმენისა და რელიგიის თავისუფლება	სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივის არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განიხილოს ქმედების, სისხლის სამართლის ნაკლებად მძიმე დანაშაულად (მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი - თანასწორუფლებიანობის დარღვევა) კვალიფიკაციის საკითხი.
11.	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	სამართლიანი სასამართლოს უფლება	პერსონალურ მონაცემთა სტანდარტების დაცვით გამოაქვეყნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნები

12.	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	სამართლიანი სასამართლოს უფლება	„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილება შეიცვალოს იმგვარად, რომ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში კოლეგიური შემადგენლობის პირობებში საქმის განხილვისას, კოლეგიის სამივე წევრი შეირჩეს შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე;
13.	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	სამართლიანი სასამართლოს უფლება	გაუმჯობესდეს ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურა დისტანციური სასამართლო პროცესებისთვის იმგვარად, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის შესაძლებელი იყოს კომუნიკაციის კონფიდენციალურობა;
14.	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	სამართლიანი სასამართლოს უფლება	გაუქმდეს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები.
15.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	პოლიციის ავტომანქანები ეტაპობრივად აღიჭურვოს ავტომანქანის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემით;
16.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეოგადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, სამხრე კამერით

17.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში გაიზარდოს ვიდეოკამერების რაოდენობა და დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა
18.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	აღმოიფხვრას დაკავებული პირის პოლიციის უფროსების და უფროსის მოადგილეების კაბინეტებში შეხვედრის პრაქტიკა და მათთან შეხვედრა გაიმართოს მხოლოდ ვიდეომეთვალყურეობით აღჭურვილ სივრცეში
19.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის შემცველი სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოება, სადაც დეტალურად და დროში სინქრონულად აღირიცხება დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება, მათ შორის, დაკავება, დაწესებულებაში შემოყვანა და გაყვანა, სხეულის დათვალიერება, დაკავებულის მიერ ადვოკატთან/ექიმთან/ოჯახთან დაკავშირების მოთხოვნა და მისი უზრუნველყოფა, დაკავებულის გათავისუფლების ან სხვაგან გადაყვანის ზუსტი დრო და მიზეზები, ზუსტი ინფორმაცია, თუ სად იმყოფებოდა პირი იმ პერიოდში, როდესაც დაკავებული იყო;

20.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	შემუშავდეს და დამტკიცდეს დაზიანების დოკუმენტირების ფორმა, რომელსაც, მათ შორის, მიგრანტთა დაბრუნების ოპერაციების ფარგლებში შეავსებს საქართველოს ესკორტის ექიმი, თუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ თავად დასაბრუნებელი პირი განაცხადებს ან ექიმს წარმოეშობა ეჭვი ასეთი მოპყრობის შესახებ; ასევე, განისაზღვროს ექიმის მიერ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების წესი
21.	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	თელავის, გურჯაანის, სიღნაღის რაიონული სასამართლოს და მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოსაცდელ საკნებში უზრუნველყოს ხელოვნური სავენტილაციო სისტემის დამონტაჟება და გამართული მუშაობა;
22.	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება	თელავის და სიღნაღის რაიონული სასამართლოების ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოსაცდელ საკნებში უზრუნველყოს სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა